დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „ კავკასიონი“ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის "ფარმაციის (სააფთიაქო) "
ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი
წევრები:
ელენე კაკაბაზე
ნანა ვერულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ კავკასიონი“**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საიდენტიფიკაციო კოდი: **412683813**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2024 წლის 05 აპრილის MES 3 24 0000397779 ბრძანების საფუძველზე (საბჭოს შუამდგომლობის გათვალისწინებით) შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრები: ელენე კაკაბაძე და ნანა ვერულაშვილი) მიერ 2024 წლის 16-17 აპრილს შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „კავკასიონი“ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის "ფარმაციის (სააფთიაქო) " მონიტორინგის მიზნით, განხორციელდა ვიზიტი და შეფასდა დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების, ასევე, ა) ქვეპუნქტის ა.ბ) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და ე) ქვეპუნქტის ე.ა); ე.ბ) კომპონენტებთან.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები კოლეჯის წარმომადგენლებთან. კერძოდ, დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან. ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სასწავლო ნაწილის წარმომადგენლებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებს და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ექსპერტთა მიერ შემოწმდა, კოლეჯში 2023 წლის ივნისში განხორციელებული ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგები და დადგინდა, რომ კოლეჯმა სრულად გაითვალისწინა, როგორც სტანდარტთან შესაბამისობის, ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები:

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.1.1. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას ბოლო ექვსი წლის მანძილზე ძალიან ხშირად აქვს ახლიდან დამტკიცებული სტრატეგიული გეგმები, მიუთითებს ამ პროცესის აუცილებლობაზე. რეკომენდებულია დაწესებულებამ მოიწვიოს გარე ექსპერტი (სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულებით). **შესრულებულია**

ინდიკატორი 3.1.1.1- საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული რეგულაციები კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს. **შესრულებულია**

ინდიკატორი 4.1.1.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - მკაფიოდ განსაზღვროს კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. **შესრულებულია**

ინდიკატორი 4.1.1.2. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია განსაზღვროს კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები ისე, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ემსახურებოდეს ერთიან გამართულ საგანმანათლებლო პროცესს. ამისათვის თვისთავად უნდა გადამუშავდეს მარეგულირებელი დებულებები და სამუშაო აღწერილობები. **შესრულებულია**

ინდიკატორი 4.1.1.3. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გადაამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობები და გადამზადდეს ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, რათა სამუშაოს შესრულებისას გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტები. **შესრულებულია**

ინდიკატორი 4.1.2.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს შრომითი ხელშეკრულების ფორმა და მოიყვანოს შესაბამისობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედ კანონმდებლობასთან და თანამშრომლებთან ხელშეკრულებები ახალი რედაქციით გააფორმოს. ასევე ხელშეკრულებ(ებ)ით დაარეგულიროს თანამშრომელთა საათობრივი დატვირთვა, რათა არ დაირღვეს შრომის კოდექსით დაშვებული ნორმები. **შესრულებულია**

ინდიკატორი 5.1.1.6 საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმი, ასევე მოახდინოს მასალების და მატერიალური რესურსების მართვა სპეციალურ ჟურნალის წარმოებით, რათა პროცესი გახდეს გამჭვირვალე და შეფასებადი. ზოგადად, კოლეჯმა იმოქმედოს თავისივე დადგენილი წესების შესაბამისად. **შესრულებულია**

ინდიკატორი 5.2.2.1-კოლეჯს მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გადაამუშავოს საქმისწარმოების წესი, მოიყვანოს საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში და დაარეგულიროს კოლეჯში მიმდინარე საქმისწარმოების ყველა პროცესი სრულფასოვნად. მათ შორის დარეგულირდეს, თუ როგორ ხდება მკაცრი აღრიცხვის ფორმების შევსება, დიპლომის ან/და სერტიფიკატის გაცემა, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერა, გაცემული დიპლომის ან/და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის შეცვლა პირად მონაცემებში ცვლილებისა და ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში და სხვა. დარეგულირდეს ასევე მკაცრი აღრიცხვის ფორმების, დიპლომისა და სერტიფიკატის გაცემის რეგისტრაციის ჟურნალების წარმოების წესი. არსებული მკაცრი აღრიცხვის ჟურნალები აიკინძოს შესაბამისი წესით. **შესრულებულია**

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება პროგრამისათვის „ფარმაცია(სააფთიაქო)“

ინდიკატორი 2.2.1.1.საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია დროულად უზრუნველყოს ფარმაციის ლაბორატორიისთვის პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შეძენა და დაზიანებული ინვენტარის შეძენა/აღდგენა. **შესრულებულია**

ინდიკატორი 2.2.1.2. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია პროფესიული მოდულების განხორციელება უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლებით. **შესრულებულია**

ინდიკატორი 2.4.1.6. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გაუზიაროს ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებს პროგრამისათვის „ფარმაცია(სააფთიაქო)“ შემუშავებული ,,ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქცია“,(წარმოადგინილ იქნა თბილისში ვიზიტის დროს), რომელიც არეგულირებს ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის, უსაფრთხოების ზოგად და ტექნიკურ წესებს, რომლის დაცვა ევალება ლაბორატორიაში მყოფ ყველა პირს. რეგულაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებისათვის შესაძლებელია მისი კიდევ უფრო დაიხვეწოს. ასევე, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც სრულიად შესაძლებელია ბევრად მოკლე დროში განხორციელდეს, ვიდრე შესაბამისობის გეგმაშია გაწერილი, რათა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას არ შეეშალოს ხელი. **შესრულებულია**

განმავითარებელი რეკომენდაციები:

ინდიკატორი 1.2.1.1 სასურველია დაწესებულებამ SWOT ანალიზის შედგენისას უკეთ გაიაზროს შესაძლებლობების პუნქტი, კერძოდ - შესაძლებლობად განიხილავს ახალი პროფესიული პროგრამებისათვის თანამედროვე მატერიალურ/ტექნიკური ბაზის შექმნას და ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების გადამზადება /კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული პუნქტების განხორციელება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას გულისხმობს და არა შესაძლებლობას. **შესრულებულია**

ინდიკატორი 3.1.1.1. დაწესებულებამ შეიმუშაოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები და ასახოს შესაბამის დოკუმენტში. **შესრულებულია**

ინდიკატორი 3.1.1.1. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების ვადად „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები“ 61-ე მუხლში მითითებულია 3 წელი, (ბრძანებით განსაზღვრულია 5 წელი), ხოლო 63-ე მუხლში არის ჩანაწერი, რომ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობაა „თუ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს 5 წელიწადი“. დაწესებულებამ დააკორექტიროს აღნიშნული უზუსტობა. **შესრულებულია**

ინდიკატორი 3.1.1.4. დაწესებულებამ დააზუსტოს არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, კერძოდ, დააზუსტოს ვისთან ფორმდება ხელშეკრულება. **შესრულებულია**

ინდიკატორი 3.1.1.5 გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები პროფესიის შესწავლამდე ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების გავლას, ინდ გეგმის შედგენის წინაპირობა ვერ იქნება ენობრივი ბარიერი. დაწესებულებამ უზრუნველყოს ინგ.გეგმის შედგენის საფუძვლების დაკორექტირება. **შესრულებულია**

ინდიკატორი 4.1.2.2. გადაიხედოს კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიზანშეწონილობა; რიგი პოზიციებისათვის (მაგალითად: საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, IT მიმართულება) საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დაიშვას პროფესიული განათლებაც, ვინაიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მიმართულებით არსებობს პროფესიული კვალიფიკაციები, კოლეჯი თავადვე უნდა ახდენდეს პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების წახალისებას. **შესრულებულია**

ინდიკატორი 4.1.2.3 საშტატო განრიგით განსაზღვრული, რიგი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრულია კომპიუტერული პროგრამების ცოდნა. პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი არც სერთიფიკატი, არც გასაუბრების/ტესტირების ოქმი, რაც დაადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან შესაბამისობას, კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი განთავსებულია მხოლოდ ერთი პირის პირად საქმეში. IT სპეციალისტთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კომუნიკაციით დადგინდა, რომ ისინი ფლობენ კომპიუტერულ პროგრამებს. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება(სერთიფიკატი/დიპლომი/დოკუმენტი) ან დაწესებულებამ თავად უზრუნველყოს გასაუბრების ან შიდა ტესტირების დოკუმენტირება. **შესრულებულია**

ინდიკატორი 5.1.1.1 რეკომენდებულია დაწესებულებამ შეასრულოს თავისივე დამტკიცებული რეგულაციით გაწერილი ვალდებულება და აწარმოოს მატერიალური რესურსების/მასალა ნედლეულის გაცემის ჟურნალი, ან გაიაზროს საკუთარი გამოცდილება და შექმნას შესაბამისი რეგულაცია. **შესრულებულია**

ინდიკატორი 5.1.1.3 ვინაიდან კოლეჯში არ არსებობს კვების ბლოკი, შესაბამისად, არც სამჯერადი კვება არ მიმდინარეობს, ასევე, კოლეჯში არ არის საბავშვო ოთახები და სასადილო მაგიდები (არც ქუთაისში, არც თბილისის ფილიალში), რეკომენდებულია აღნიშნული წესი მოერგოს კოლეჯის რეალობას. **შესრულებულია**

ინდიკატორი 5.1.1.7 რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადამუშავება, დაწესებულების რესურსების შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფილ იქნას მატერიალური რესურსების აღრიცხვა და დადგენილი რეგულაციების პრაქტიკულად შესრულება.**შესრულებულია**

ინდიკატორი 5.1.1.11 ბიბლიოთეკის დებულების თანახმად „კოლეჯის ბიბლიოთეკა წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო- ინფორმაციულ ორგანოს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები სტუდენტების, აკადემიური და პროფესიული მასწავლებლების, აგრეთვე კოლეჯის გარე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.“ სასურველია, დაზუსტდეს ჩანაწერი აკადემიური და პროფესიული მასწავლებლებთან დაკავშირებით. პროფესიულ განათლებაში კანონი ცნობს პროფესიული განათლების მასწავლებელს, შესაბამისად, ცნება აკადემიური მასწავლებელი, პროფესიულ განათლებაში არ გამოიყენება. სასურველია დაკორექტირდეს ჩანაწერი. **შესრულებულია**

ინდიკატორი 5.1.1.11 ბიბლიოთეკის დებულებაში არის ჩანაწერი „ბიბლიოთეკიდან მასალის ფარულად გატანას ან/და ასეთის მცდელობას თან სდევს შესაბამისი პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან ერთად, შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეწყვეტა, ხოლო პერსონალ-აბონენტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა“. ვინაიდან, სტატუსის შეწყვეტა არის მნიშვნელოვანი პროცესი და დაკავშირებულია სტუდენტის უფლებებთან, რეკომენდებულია, დაწესებულებამ თავის წესში დააზუსტოს აღნიშნულ საკითხთან არსებული ჩანაწერი და რეგულაცია ამ ნაწილში გახადოს უფრო გამჭვირვალე. მაგალითად, როგორ ხდება ფაქტის დადგენა/დადასტურება, ვინ აკეთებს განაცხადს, კონკრეტულად რა სამართლებრივი საფუძველით მოხდება შეწყვეტა, სხვა რა ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაეკისროს პირს მასალის ფარულად გატანასთან დაკავშირებით და სხვა.**შესრულებულია**

ინდიკატორი 5.1.1.11 ბიბლიოთეკის დებულებაში ასევე არის ჩანაწერი „წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში აბონენტს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა დაკარგული (დაზიანებული) მასალის ღირებულების ათმაგი ოდენობის ანაზღაურება კოლეჯისთვის“ აქაც, სასურველია, დაწესებულებამ დააზუსტოს რაზე დაყრდნობით ხდება ათმაგი ღირებულების დაანგარიშება, და რა მიიჩნევა მასალის დაზიანებად. რატომ არ შეიძლება ვთქვათ ჩაანაცვლოს იგივე წიგნით/მასალით.**შესრულებულია**

ინდიკატორი 5.1.1.11 ბიბლიოთეკის დებულების მიხედვით კოლეჯის ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 9:00 საათიდან 18:00 საათამდე. რეგულაციაში არის ჩანაწერი, რომ საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკა იმუშავებს შაბათ და კვირა დღესაც. რეკომენდებულია, იმ შემთხვევისთვის, თუ კოლეჯის ბიბლიოთეკა იმუშავებს შაბათ-კვირასაც, მაშინ უნდა გაიწეროს როგორ დარეგულირდება აღნიშნული ნამუშევარი საათების ანაზღაურება, ვინ იქნება ამ დღეებში პასუხისმგებელი პირი, ხომ არ მოხდება დამატებითი ბიბლიოთეკარის მოწვევა, ხომ არ დაიგეგმება ცვლებში მუშაობა და სხვა. **შესრულებულია**

ინდიკატორი 5.1.1.11 დოკუმენტში „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები“ (მუხლი 45. ბიბლიოთეკის ამოცანები და მიზნები), გაწერილია, რომ „ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა კოლეჯში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, ეროვნული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის ხელშეწყობა.“ კოლეჯში ბიბლიოთეკარის შტატს ითავსებს ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის მენეჯერი, რომელიც ასევე არის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირიც. მასთან გასაუბრებით ვერ დგინდება რეალურად ბიბლიოთეკა ასრულებს თუ არა წესში გაცხადებულ ამოცანებს, მისი განცხადებით, ფაქტობრივად სტუდენტები იშვიათად შედიან ბიბლიოთეკაში, რადგან იყენებენ ძირითადად ელექტრონულ წიგნებს და მათ საჭიროების შემთხვევაში ეგზავნებათ ელექტრონული რესურსები. სასურველია, ბიბლიოთეკის დებულება მოერგოს კოლეჯის საჭიროებებს და ნუ იტვირთავს იმაზე მეტ პასუხისმგებლობას, რომელსაც რეალურად არ/ვერ ასრულებს. **შესრულებულია**

ინდიკატორი 5.1.2.2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯში არსებულ პრაქტიკასთან, გაიწეროს პრაქტიკაში დამტკიცებული ჟურნალის წარმოების რეგულაცია და ჩანაწერები მედიკამენტების შესახებ ამოღებულ იქნას წესიდან. **შესრულებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5.2.1.3. რეკომენდებულია გადამუშავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, გაიწეროს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების გზები, დაზუსტდეს მტკიცებულებები. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმდეს დოკუმენტურად შეთანხმებები ამავე საკითხზე. **შესრულებულია**

ინდიკატორი 5.2.3.4. კატალოგში წარმოდგენილია რუბრიკა „ახალი სასწავლო წლის დასაწყისში პირველი კურსის სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრა". პროფესიული განათლებაში კურსის ცნება არ არის დამკვიდრებული, სასურველია დაწესებულებამ გამოიყენოს უფრო რელევანტური ჩანაწერი. **შესრულებულია**

განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამისათვის „ფარმაცია(სააფთიაქო)"

ინდიკატორი 2.2.1.1. გამომდინარე იქედან ,რომ .შპს ,,ავერსი - ფარმა"-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, სასურველია პროგრამის მდგრადობისათვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებში, კერძოდ 1.შპს,,იბერიაფარმა+" სთან ((ხელშეკრულება N -64-3, 11.02.2021)და 2.შპს ,,ნეოფარმა+" სთანაც (ხელშეკრულება N - 78, 30.06.2021); შევიდეს ანალოგიური ცვლილებები. **შესრულებულია.**

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ზღვრული რაოდენობა		სტუდენტების რაოდენობა	სტუდენტების რაოდენობა
ფარმაცია (სააფთიაქო)	112	110	5	1

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ფარმაცია (სააფთიაქო)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

მონიტორინგის *ვიზიტის პერიოდში, ხარვეზები არ დაფიქსირებულა*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

მონიტორინგის ვიზიტზე სტანდარტებთან შესაბამისობის *რეკომენდაციები არ გაცემული*

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.1.3 - სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს შესრულების ინდიკატორების რევიზია და უზრუნველყოს მათი შესაბამისი სახით ფორმირება, მათი მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "კავკასიონი" ეთანხმება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

I. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური საკითხები კოლეჯს გაწერილი აქვს 2 დოკუმენტში. ერთი მათგანი „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (SWOT ანალიზი ან/და სხვა) ამსახველი დოკუმენტაცია“ დამტკიცებულია დირექტორის 19.02.2023 წლის N1517 ბრძანებით, რომელშიც, ბოლო ცვლილება შევიდა 06.03.2024 წლის, დირექტორის №2363 ბრძანებით და დოკუმენტი სახელწოდებით „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები“ (პირველი თავში გაწერილია მისიის, ხედვის, ღირებულებების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია) დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 06.12.2022 წლის N 11876 ბრძანებით და რომელშიც ბოლო ცვლილება შევიდა 01.10.2023 წლის, დირექტორის №9818 ბრძანებით. ორივე დოკუმენტში, ბოლო ცვლილებების საფუძველი გახდა 2023 წლის ივნისსი განხორციელებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნაში გაცემული, როგორც შესაბამისობის ასევე განმავითარებელი რეკომენდაციები. კერძოდ:

- **სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია** გადახედოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას, განსაზღვროს ინფორმაციის რა წყაროებს დაეყრდნობა დაწესებულება დაგეგმვისას; გეგმის ვადის ამოწურვამდე რამდენი ხნით ადრე დაიწყება ახალ გეგმაზე მუშაობა, რათა შენარჩუნებული იყოს პროცესების უწყვეტობა; რა შემთხვევებში შევა ცვლილება სტრატეგიულ თუ სამოქმედო გეგმაში. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას ბოლო ექვსი წლის მანძილზე ძალიან ხშირად აქვს ახლიდან დამტკიცებული სტრატეგიული გეგმები, მიუთითებს ამ პროცესის აუცილებლობაზე.

აღნიშნული დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ „მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში“, რეკომენდაციის გათვალისწინებით, დეტალურად აღიწერა სტრატეგიული დაგეგმვის, გეგმებში ცვლილების შეტანის ეტაპები და სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის პროცედურები. კერძოდ პირველ ეტაპად განისაზღვრა კოლეჯის მდგომარეობის სტრატეგიული ანალიზი, რომელიც გულისხმობს, როგორც შიდა ორგანიზაციული ფაქტორების, ასევე გარე ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, პოლიტიკური, იურიდიული ფაქტორების ანალიზს. ასევე განისაზღვრა, რომ „SWOT“ ანალიზის დროს შესწავლილ უნდა იქნეს კოლეჯში არსებული მდგომარეობა, მისი გამომწვევი მიზეზები. უნდა შეფასდეს კოლეჯში არსებულ მდგომარეობასა და სასურველ ვითარებას შორის წყვეტა, რის შემდეგაც უნდა შემუშავდეს კონკრეტული სტრატეგიული ამოცანები და გამოიყოს შესაბამისი რესურსები აღნიშნული წყვეტის აღმოფხვრის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მისი მომხმარებლების, ანუ სტუდენტების, საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლას კითხვარების და მათთან შეხვედრების მეშვეობით. სხვა საკითხებთან ერთად დოკუმენტი სტრატეგიული ანალიზის განხორციელების ვადად განსაზღვრავს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სამოქმედო გეგმის გადასინჯვის პარალელურად.

შესაბამისობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, მეთოდოლოგიაში განისაზღვრა ასევე სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების განხორციელდების პირობები, კერძოდ: თუ შეიცვალა კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, ასვე შეიცვალა სტრატეგიული გეგმის მიზნები, ამოცანები, შესრულების ინდიკატორები და განხორციელების პერიოდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტი განსაზღვრავს ასევე, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანის ცვლილება/ამოღების პირობებს. ამ მიზნით. ყველა სტრუქტურული ერთეული სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის ამოწურვამდე ორი კვირით ადრე დირექტორს უგზავნის მათ მიერ შესრულებული საქმიანობის წლიურ ანგარიშს, რომლის განხილვის საფუძველზე იგი სტრუქტურული ერთეულებთან კონსულტაციით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმის ანგარიშის პროექტს. ასევე წინა წელს ვერ განხორციელებული აქტივობების შესწავლის და მომავალი წლისთვის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემოთავაზებული სიახლეების საფუძველზე შეიმუშავებს ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტს, რომელიც დოკუმენტის შექმნის პროცესში იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეებს ელექტრონულ ფოსტაზე განსახილველად ეგზავნება. დოკუმენტის გასაცნობად მხარეებს მიცემული აქვთ 3 სამუშაო დღე. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, თუ მხარეები არ წარმოადგენენ უკუკავშირს კოლეჯი თვლის, რომ მათთვის ეს პროექტი მისაღებია და გადადის შემდეგ საფეხურზე. ხოლო უკუკავშირის შემთხვევაში, რაც გულისხმობს ცვლილებებს დოკუმენტში, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი დაინტერესებულ მხარეების ჩართულობით ნიშნავს სამუშაო შეხვედრებს შემდეგი 3 სამუშაო დღის მანძილზე, თუ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, განიხილება განახლებული პროექტის, ან ახალი სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაიცა ასევე განმავითრებელი რეკომენდაცია - სასურველია დაწესებულებამ SWOT ანალიზის შედგენისას უკეთ გაიაზროს შესაძლებლობების პუნქტი, კერძოდ - შესაძლებლობად განიხილავს ახალი პროფესიული პროგრამებისათვის თანამედროვე მატერიალურ/ტექნიკური ბაზის შექმნას და ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების გადამზადება /კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული პუნქტების განხორციელება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას გულისხმობს და არა შესაძლებლობას. მონიტორინგის ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა ახლად შემუშავებული „SWOT“ ანალიზი და დადგინდა რომ შესაძლებლობების პუნქტიდან, განმავითარებელი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ამოღებულია ზემოხსენებული საკითხი და წარმოდგენილი შუალედური ანგარიშის ანალიზის საფუძველზე, ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N2356, 06.03.2024) შესულია შესაბამისი ცვლილებები. კერძოდ კოლეჯმა დაადგინა, რომ მისთვის განვითარების შესაძლებლობას წარმოადგენს: რეგიონის მზარდი ინტერნაციონალიზაცია, დისტანციურ სწავლებაზე მზარდი მოთხოვნა და ახალი პროფესიული პროგრამების განხორციელება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიის თანახმად კოლეჯში შექმნილია მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემმუშავებელი ადმინისტრაციული საბჭო (რომელშიც დირექტორის ხელმძღვანელობით შედიან ყველა სტრუქტურული ერთეულისა და პროგრამის ხელმძღვანელები), რომელიც განიხილავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს.

დასკვნის სახით შეძლება ითქვას, რომ რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგია მოიცავს ყველა იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების ეფექტურობას.
ინდიკატორი 1.2.1.1. შესაბამისობაშია

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

მეთოდოლოგიის თანახმად და ასევე წარმოდგენილი შეხვედრის ოქმების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვებზე კოლეჯის წარმომადგენლების დასწრების ფურცლების, დაინტერესებული მხარეებისათვის ელექტრონული მიმოწერის სქრინების გაცნობის შედეგად დასტურდება, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ამ პროცესში კოლეჯს იდენტიფიცირებული ჰყავს **შიდა დაინტერესებული მხარეები** (სტუდენტები, მშობლები, მასწავლებლები, ადმინისტრაციის თანამშრომლები, დირექტორი) და **გარე დაინტერესებული მხარეები** (პარტნიორი ორგანიზაციები, დამსაქმებლები, მარეგულირებელი ორგანიზაციები, რაიონის გამგეობა, ქალაქის მმართველობა და ა.შ.). მათ ელექტრონულ ფოსტაზე განსახილველად ეგზავნებათ დოკუმენტების პროექტები.
როგორც უკვე აღინიშნა (1.2.1.1) სტრატეგიული დაგეგმარების განხორციელებისათვის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს განიხილავს ადმინისტრაციული საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორი. მისი განმარტებით მათ მუდმივად აქვთ კომუნიკაცია რეგიონის/რაიონის თვითმმართველობებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან. ისინი ეცნობიან სხვადასხვა კვლევებს, ითვალისწინებენ სახელმწიფო პრიორიტეტებს, სწავლით დაინტერესებულ პირთა მომართვის ანალიზის შედეგებს, რაც გულისხმობს ქვეყნის/რეგიონის/ თემის პრიორიტეტების გათვალისწინებას და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს. საბჭო რომელშიც შედიან სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და პროგრამის ხელმძღვანელები, გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით და უფლებამოსილია წევრების 50%+1 რაოდენობის შემთხვევაში. საბჭოს ყველა გადაწყვეტილება აისახება ადმინისტრაციული საბჭოს ოქმში.
როგორც უკვე აღინიშნა, 2023 წლის ივნისში განხორციელებული ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა არსებულ მეთოდოლოგიაში და 2023-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რისთვისაც კოლეჯში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ყველა დაინტერესებული პირი: კოლეჯის დირექტორი, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი, ქონების, მატერიალური რესურსების დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, სასწავლო ნაწილის უფროსი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის ცენტრის ხელმძღვანელი და ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელები. ჯგუფმა გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაციები და უზრუნველყო მეთოდოლოგიის, სტრატეგიული და გეგმის კორექტირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

ინდიკატორი 1.2.1.2 შესაბამისობაშია.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კოლეჯმა წარმოადგინა 2023-2029 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ დირექტორის ბრძანებით №123/2, 29.12.2022 (ბოლო ცვლილება შესულია ბრძანებით №2363. 06.03.2024 წელი). გეგმა მოიცავს, კოლეჯის მისიასთან თავსებად 4 სტრატეგიულ მიზანს, შესაბამისი ამოცანებით და შესრულების ინდიკატორებით. კერძოდ გეგმის მიზნებია:

- ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება;
- დაწესებულების ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარების გზით;
- პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე მორგებული და ხელმისაწვდომი სერვისების განვითარება;
- ადამიანური რესურსების და მართვის სისტემის განვითარება

სტრატეგიულ გეგმის რიგ ამოცანებთან მიმართებით, კოლეჯს შესრულების ინდიკატორად მითითებული აქვს ვიზუალური დათვალიერება. მაგ:

ამოცანა 2.3. ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება. შესრულების ინდიკატორი - ვიზუალური დათვალიერება; ფინანსური დოკუმენტაცია;

ამოცანა 2.4. საბიბლიოთეკო ფონდისა და საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება. შესრულების ინდიკატორი - ვიზუალური დათვალიერება;

ამოცანა 2.5. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზის განახლება/განვითარება, შესრულების ინდიკატორი -ვიზუალური დათვალიერება; ან/და ფინანსური დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამოცანა 4.4. პრაქტიკის ობიექტების ინსტრუქტორების შესაძლებლობების გაძლიერება სწავლისა და შეფასების მეთოდებში. შესრულების ინდიკატორი - ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ფინანსური დოკუმენტაცია

ექსპერტთა მოსაზრებით ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, **ვიზუალური დათვალიერება ან/და ფინანსური დოკუმენტაცია,** ვერ იქნება შესრულების ინდიკატორი, რამდენადაც ინდიკატორი შეიძლება იყოს აღნიშნული ამოცანების შესრულების გათვალისწინებით მიღებული შედეგი და ის უნდა იყოს გაზომვადი მაგ: შეფასების მეთოდებში გადამზადებული პრაქტიკის ობიექტების ინსტრუქტორები, განახლებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზა და ა.შ.

შესაბამისად კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია: **სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს შესრულების ინდიკატორების რევიზია და უზრუნველყოს მათი შესაბამისი სახით ფორმირება, მათი მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად.**

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა ასევე 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მიზნები, ამოცანები, აქტივობები, ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებლი და შემსრულებელი სტრუქტურული ერთეულები თუ პირები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), ასევე აქტივობების განხორციელების მატერიალური და ფინანსური რესურსი. პასუხისგებელი პირებისა და რესურსების შესწავლით დგინდება, რომ ფუნქციებისა და მოვალეობები განაწილება შესაბამისობაშია დაწესებულების პერსონლისათვის დადგენილ ფუნქცია-მოვალეობებთან და სამუშაო აღწერილობებთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი გეგმები აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კოლეჯის ეფექტიან მუშაობას.

ინდიკატორი 1.2.1.3 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 06.12.2022 წლის N 11876 ბრძანებით, ცვლილებები - ბრძანება N1517 19.02.2023, ბრძანება N2394 16.03.2023, ბრძანება №9818. 01.10.2023 წ.);
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (SWOT ანალიზი ან/და სხვა) ამსახველი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2029 წლები;
- სამოქმედო გეგმა 2023-2024;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გეგმების დამტკიცების დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები;
- ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი N2356;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

კოლეჯის მიერ სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი აღწერილია „მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში", რომელიც თავის მხრივ გაწერილია კოლეჯის „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში". მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონიტორინგის ჩატარების პროცედურა და პერიოდულობა, რაც გულისხმობს შემდეგს: სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით, ადმინისტრაციული საბჭო იკრიბება წელიწადში ერთხელ სექტემბერში, ხოლო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით წელიწადში ორჯერ სასწავლო წლის მიხედვით, მეექვსე და მეთორმეტე თვეში. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე, რომ საჭირო ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში. საბჭო შესაძლებელია შეიკრიბოს ნებისმიერ დროს დირექტორის, ან საბჭოს ორი წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სადაც გეგმებით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები წარმოადგენენ მოხსენებას მათზე განპიროვნებული ღონისძიებების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებით). ანგარიშების განხილვა ხდება ადმინისტრაციული საბჭოს სხდომაზე. არაჯეროვნად შესრულებული აქტივობების გამოვლენის შემთხვევაში ხორციელდება არაჯეროვანი შესრულების მიზეზების დადგენა. სტრატეგიული განვითარების გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს ცვლილებები შეაქვს მომდევნო საანგარიშო წლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სამოქმედო გეგმის შემთხვევაში, საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს ყველა ღონისძიების დროულად და ჯეროვნად შესრულების საკითხს. რომელიმე საკითხის არ (ნაწილობრივი) შესრულებისას შეისწავლება გამომწვევი მიზეზები და საბჭო ადგენს აღნიშნული ღონისძიების შესრულების გრაფიკს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს საბჭოს, რომელიც მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანის ცვლილება/ამოღება განხორციელდება შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე.

მეთოდოლოგიის მიხედვით განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა ადმინისტრაციული საბჭოს მუშაობის ამსახველი ოქმები, მათ შორის 2023-2024 წლის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (6 თვის) სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელიც თავის მხრივ დაეფუძნა სტრუქტურული ერთეულების 2023-2024 წლების ანგარიშებს: სასწავლო ნაწილის სპეციალისტის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; სასწავლო ნაწილის სამსახურის სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში; სასწავლო ნაწილის ანგარიში; საზოგადოებასთან ურთიერთობის და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის შუალედური ანგარიში და სხვა;

როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის მიზნით 2023 წლის ნოემბერში შეიქმნა და დამტკიცდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო ნაწილის უფროსი, სასწავლო ნაწილის სპეციალისტი და ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სპეციალისტი. ნოემბრის თვეში შემუშავებული მეცადინეობებზე დასწრების განრიგის (ნოემბერი-მარტის პერიოდისათვის) მიხედვით თვის განმავლობაში ყველა პროგრამაზე მინიმუმ 2-ჯერ განხორციელდა თეორიულ მეცადინეობებზე დასწრება და მონიტორინგი, შედგა შესაბამისი ოქმები. წარმოდგენილი ანგარიშის გათვალისწინებით, შიდა მონიტორინგის დროს სასწავლო პროცესში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი რაიმე სახის დარღვევა თუ გადაცდომა. კოლეჯის შიდა მონიტორინგის ჯუფის წევრების მიერ გაიცა მხოლოდ რამდენიმე რეკომენდაცია, მათ შორის პროფესიულ მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია სტუდენტები უფრო აქტიურად ჩართონ სასწავლო პროცესში და მეტი ინტენსივობით გამოიყენონ საპრეზენტაციო მასალები (თვალსაჩინოებები).

სასწავლო წლის განმავლობაში, კოლეჯში განხორციელდა არსებული შეფასების სისტემის ფუნქციონირების შიდა მონიტორინგიც. დადგინდა, რომ შეფასების მეთოდები, ასევე შეფასებისას მტკიცებულებების მოპოვების ხარისხი სრულიად რელევანტურია და შეფასების სისტემას ხარვეზები არ აქვს. განხორციელდა ასევე კოლეჯში არსებული პროგრამების ფარგლებში ადამიანური რესურსების შიდა მონიტორინგი და არც ამ შემთხვევაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში შეიქმნა შეფასების ფურცელი (ჩეკლისტები), რითაც შეფასდა ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების, ბიბლიოთეკის, ვებგვერდის, ქონების, მატერიალური რესურსების, დაცვისა და უსაფრთხოების ნორმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, შეფასების სისტემის პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი ანგარიშით და ასევე ვებგვერდზე განთავსებული სხვადასხვა წლის ანგარიშებით დასტურდება, რომ კოლეჯი მეთოდოლოგიაში გაწერილი წესების თანახმად ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 1.2.2.1 შესაბამისობაშია

2. **პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;**

კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე რასაც ადასტურებს განხორციელებული ღონისძიებები, შუალედური და წლიური ანგარიშები. ასევე ისიც, რომ კოლეჯმა გაითვალისწინა 2023 წლის ივნისს განხორციელებული ავტორიზაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციები. კერძოდ: გადაამუშავა საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანა პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული რეგულაციები, მკაფიოდ განსაზღვრა კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. გადამუშავდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობები და გადამზადნენ ხარისხზე პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებამ გადაამუშავა შრომითი ხელშეკრულების ფორმა და შესაბამისობაში მოიყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან. დაწესებულებამ გადაამუშავა სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმი და მასალების და მატერიალური რესურსების მართვას ახორციელებს სპეციალურ ჟურნალში. გადაამუშავა საქმისწარმოების წესი, შესაბამისად კოლეჯში მიმდინარე საქმისწარმოების ყველა პროცესი სრულფასოვნად მიმდინარეობს.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებს, შეფასებიდან ირკვევა, რომ დაწესებულებას გარკვეულ შემთხვევებში აღწერილი აქვს შუსრულებელი აქტივობების მიზეზები და რეაგირების მიზნით, მათი ნაწილი გადატანილი აქვს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯი რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ინდიკატორი 1.2.2.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

წლის შემაჯამებელი, თუ შუალედური ანგარიშების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხორციელდება მათი ვებ-გვერდზე (https://kavkasioni.edu.ge) გამოქვეყნების გზით. მასზე განთავსებულია 2017 -2018; 2018-2019; 2019 - 2020; 2020-2021; 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლების ანგარიშები.

ინდიკატორი 1.2.2.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები და გეგმები;
- შეხვედრის ოქმები, სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები;
- მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს საქმიანობის წლიური ანგარიშები;
- შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება No11876. 06.12.2022 წელი, ცვლილება ბრძანებაში No9818. 01.10.2023) დამტკიცებულია შინაგანაწესი და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები, რომლებშიც გაწერილია პროფესიული სტუდენტის უფლებებთან და გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. შინაგანაწესის მე-14 მუხლ ეხება პროფესიული სტუდენტის უფლებებს და ვალდებულებებს. კერძოდ, სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, აირჩიოს მისთვის მისაღები სასწავლო პროგრამა, თანაბარ პირობებში ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით, თავისი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში, ასევე კოლეჯში არსებულ თვითმმართველობაში, დადგენილი წესით გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტური აქტივობების დაგეგმვის ფარგლებში გამოხატოს საკუთარი ინიციატივები და ზეპირი, თუ წერილობითი ფორმით მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას, სტუდენტურ თვითმმართველობას ან სტუდენტური აქტივობის მხარდამჭერ ჯგუფს. კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მე-13 თავი ითვალისწინებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობის, ფორმალური განათლების აღიარების წესებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა აღნიშნული წესების შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან მიმართებაში და დადგინდა, რომ კოლეჯში დებულების შესაბამისად ხორციელდება სტუდენტის ჩარიცხვა, სტატუსის მოპოვება, შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა, მობილობა (შიდა და გარე). ამ ეტაპამდე კოლეჯსი ფორმალური განათლების აღიარება არ განხორციელებულა.

წინა ვიზიტის დროს, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ (ინდიკატორი 3.1.1.1.) საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული რეგულაციები კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

ასევე გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაციები:

- **დაწესებულებამ შეიმუშაოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები და ასახოს შესაბამის დოკუმენტში.**
- **სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების ვადად „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები“ 61-ე მუხლში მითითებულია 3 წელი, (ბრძანებით განსაზღვრულია 5 წელი), ხოლო 63-ე მუხლში არის ჩანაწერი, რომ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობაა „თუ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს 5 წელიწადი“. დაწესებულებამ დააკორექტიროს აღნიშნული უზუსტობა.**

დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები და ვიზიტის დროს წარმოადგინეს შესწორებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება. ასევე წარმოადგინეს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (ბრძანება No3001, 03.04.2023 წ. ცვლილება ბრძანებაში No9447, 22.09.2023 წ.) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, რომლის მე-14 მუხლი ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესს და პროცედურებს. შეწორებულ იქნა სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების 61-ე მუხლში, ისე როგორც 63-ე მუხლში ჩაიწერა 5 წელი.

ინდიკატორი 3.1.1.1. შეესაბამისობაშია.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

კოლეჯში ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა პროფესიულ სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრა. კოლეჯის სასწავლო ნაწილის სამსახურის უფროსი, რომელსაც ფუნქციებშიც აქვს გაწერილი, ახდენს სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო პროცესის და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხების შესახებ. პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესში და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში. ასევე სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მათ უფლებებს და მოვალეობებს, რაზედაც ხელმოწერით დასტურდება, რომ ისინი იცნობენ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ისინი იცნობენ მათ უფლებებს და საჭიროებისამებრ იყენებენ. პროფესიულ სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრების ფოტომასალა განთავსებულია კოლეჯის კატალოგში.

ინდიკატორი 3.1.1.2. შეესაბამისობაშია.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების 57-ე მუხლი ითვალისწინებს სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემას, რომელშიც გაწერილია: შეფასების სახეები, ვადები, დამატებით შეფასებაზე გასვლის პირობები (დამატებით შეფასებაზე ორჯერ გასვლის შემდეგ, შედეგის არ დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ხელახლა გაიაროს ამ მოდულის სრული კურსი, შესაბამისად სტუდენტს მოდულის კრედიტების მიხედვით დაეკისრება დამატებითი გადასახადი), სწავლის შედეგის ვერ დადასტურების და შეფასების გასაჩივრების მექანიზმები. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში. წესით განსაზღვრულია ასევე, რომ მოდულის მხოლოდ თეორიული ნაწილის შეფასება ხორციელდება ელექტრონულად (ზეპირი გამოცდით, ტესტირებით), ხოლო იმ პრაქტიკული დავალებების შეფასება, რომელთა შესაფასებლად საჭიროა შესაბამისი გარემო, ხორციელდება კოლეჯის შესაბამის აუდიტორიაში, ან საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია, თუ რომელი შედეგი შესაძლებელია განხორციელდეს და შეფასდეს ელექტრონულად. ელექტრონულად შეფასების ინსტრუქცია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური აქტით. კოლეჯში შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და ამ პროგრამის შესაბამისი კრედიტების დაგროვების შემთხვევაში, რის საფუძველზეც გაიცემა დიპლომი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

ექსპერტთა მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ, თუმცა აპელაციით არცერთ მათგანს არ უსარგებლია.

ინდიკატორი 3.1.1.3. შეესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელშიც გაწერილია: ხელშეკრულების საგანი, სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, სასწავლებლის უფლებები და მოვალეობები, მხარეთა პასუხისმგებლობა, სწავლების ხანგრძლივობა, სტუდენტის დაფინანსება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა. არასრულწლოვანთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მშობლის, მეურვის ხელმოწერას, ახლავს მშობლის, მეურვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და არასრულწლოვანის დაბადების მოწმობა.

წინა ვიზიტის დროს არასრულწლოვანთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ხელს აწერდა სტუდენტიც და მშობელი/მეურვე. ამიტომ, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია - დაწესებულებამ დააზუსტოს არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, კერძოდ, დააზუსტოს ვისთან ფორმდება ხელშეკრულება.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და არასრულწლოვანთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ხელს აწერს მშობელი, მეურვე.

ინდიკატორი 3.1.1.4. შესაბამისობაშია.

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება No11876. 06.12.2022 წელი, ცვლილება ბრძანებაში No9818. 01.10.2023) დამტკიცებულია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები, რომელის 56-ე მუხლში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შესაძლებელია - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტისთვის, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტისთვის, კოლეჯში მობილობით გადმოსული სტუდენტისთვის, სტატუს აღდგენილი სტუდენტისთვის და განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული სტუდენტისათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა მოიცავს ეტაპებს, კერძოდ, კოლეჯის სტუდენტი, შშმპ/მისი კანონიერი წარმომადგენელი ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით მიმართავს სასწავლო ნაწილს. განცხადებაში ფიქსირდება ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულები, რომლის ათვისება სურს სტუდენტს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში და ის მიზეზები, რის გამოც იგი ითხოვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე, სასწავლო ნაწილის სამსახური ქმნის კომისიას,

სტუდენტის (არასრულწლოვანის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის დასწრებით), პროგრამის ხელმძღვანელის და მოდულის/ების განმახორციელებელის შემადგენლობით, რომელიც მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის/ების სწავლის შედეგების საათების და წინაპირობების გათვალისწინებით შეიმუშავებს შედეგების გონივრულ ვადაში მისაღწევად საჭირო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რომელსაც ხელს აწერს შემუშავებაში მონაწილე ყველა მხარე. სასწავლო ნაწილი კომისიის გადაწყვეტილებას - ოქმს და ინდივიდუალურ გეგმის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს, როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ცალკეული სასწავლო მოდულების დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კოლეჯში ჯერ არ ჰქონიათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა და მხოლოდ მექანიზმები აქვთ გაწერილი.

წინა ვიზიტის დროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წინაპირობად განსაზღვრული იყო ენობრივი ბარიერი და ექსპერტების მიერ გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია - გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები პროფესიის შესწავლამდე ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების გავლას, ინდ გეგმის შედგენის წინაპირობა ვერ იქნება ენობრივი ბარიერი. დაწესებულებამ უზრუნველყოს ინგ.გეგმის შედგენის საფუძვლების დაკორექტირება.

კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წინაპირობად აღარ ითვალისწინებს ენობრივ ბარიერს.

ინდიკატორი 3.1.1.5. შეესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით და პირობებით;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით;
- კოლეჯის ვებ-გვერდით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეებით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შმუშავების მექანიზმებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მე-2 მუხლი ითვალისწინებს კოლეჯის მართვის ორგანოებს და სტრუქტურებს, რომლის მიხედვითაც კოლეჯის მართვის ორგანოებია: დამფუძნებელი და დირექტორი.

კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

- სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
- სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;

ბ) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახური;

- ადამიანური რესურსებისა მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის მენეჯერი;

გ) საფინანსო სამსახური;

- ფინანსური მენეჯერი.

დ) იურიდიული სამსახური;

- იურისტი

ე) სასწავლო ნაწილი;

- სასწავლო ნაწილის უფროსი;
- სასწავლო ნაწილის სპეციალისტი;

ვ) ქონების მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური;

- ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი:
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- ექთანი

ზ) ბიბლიოთეკა;

- ბიბლიოთეკარი;

თ) საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის ცენტრი;

- საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის ცენტრის უფროსი;
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი;

ი) საზოგადოებასთან ურთიერთობის და კარიერული მხადაჭერის სამსახური:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი;
- კარიერული მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი.

წინა ვიზიტის დროს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები არ იყო სრულად განსაზღვრული და ექსპერტების მხრიდან გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია - მკაფიოდ განისაზღვროს კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.

კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და სამსახურის დებულებებში განსაზღვრა: სამსახურის საქმიანობა, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები, სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა.

ვიზიტის დროს გადამოწმდა კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეები, რომელშიც ხელშეკრულებებთან ერთად არის ხელმოწერილი სამუშაო აღწერილობები.

ინდიკატორი 4.1.1.1 შეესაბამისობაშია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში არის გაწერილი ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება, რომელშიც გადანაწილებულია ფუნქცია- მოვალეობები, როგორც სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს შორის ისე სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

წინა ვიზიტის დროს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად არ მოიცავდა ყველა იმ თემას, რომელიც კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას და მიზნებს უკავშირდებოდა. **შესაბამისად ექსპერტებმა გასცეს შესაბამისობის რეკომენდაცია - განისაზღვროს კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები ისე, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ემსახურებოდეს ერთიან გამართულ საგანმანათლებლო პროცესს. ამისათვის თვისთავად უნდა გადამუშავდეს მარეგულირებელი დებულებები და სამუშაო აღწერილობები.**

კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია. გადაამუშავა მარეგულირებელი დებულებები და სამუშაო აღწერილობები. კოლეჯში მიმდინარე ყველა პროცესს ჰყავს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პოზიცია, რაც ასახულია სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის ფუნქციებში. კოლეჯის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს/აქტივობებს ჰყავს შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთეული/პირი. ექსპერტების მიერ სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი ფუქცია-მოვალეობები არ დუბლირდება და შესაბამისად ისინი თავისი კომპეტენციების ფარგლებში იღებენ პასუხისმგებლობას სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ამოცანების/აქტივობების შესრულებაზე. ექსპერტები გაესაუბრნენ საშტატო განრიგის შესაბამისად დანიშნულ თანამშრომლებს, განიხილეს მათი ანგარიშები და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მაგალითები, დასტურდება, რომ ისინი ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს

ინდიკატორი 4.1.1.2 შეესაბამისობაშია.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი და სპეციალისტი. მათი ფუნქცია მოვალეობები გამიჯნულია და გაწერილია დებულებაში.

წინა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავდა ინტერესთა კონფლიქტს და ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია - გადამუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობები და გადამზადდეს ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, რათა სამუშაოს შესრულებისას გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტები.

კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და გადაამუშავა მართვის ორგანოების და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. გამიჯნა ერთმანეთისაგან მენეჯერის და სპეციალისტის ფუნქციები, რითაც გამოირიცხა ინტერესთა კონფლიქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ხარისხის სამსახურის მენეჯერს პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით და გაეცნო მის 2023/24 წ. სამოქმედო გეგმას, რომელშიც გაწერილია: შესასრულებელი სამუშაო, ვადები და სამუშაოს შესრულებაში მონაწილე პირები/სტრუქტურული ერთეულები. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და არ არის გადაკვეთა და ინტერესთა კონფლიქტი სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობასთან. ასევე სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერად დაინიშნა პროფესიული განათლების სერტიფიცირებული ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

ინდიკატორი 4.1.1.3 შეესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით;
- კოლეჯის შინაგანაწესით;
- მართის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით;
- პირადი საქმეებით;
- სამუშაოს აღწერილობებით;
- სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2023-2024 სასწავლო წლის სამუშაო გეგმით;
- კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურით/საშტატო განრიგით;
- კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
- კოლეჯის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2.პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები, რომლის მე-3 და მე-14 თავებში გაწერილია: ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის დებულება და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რეგულაციები. აღნიშნული რეგულაცია განსაზღვრავს: პერსონალის მიღების წესსა და პირობებს, შრომით ურთიერთობებს და წარმოსადგენ საბუთებს, თანამდებობიდან განთავისუფლებას, პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და პროფესიულ განვითარებას. პერსონალის მართვა ხორციელდება ასევე კოლეჯის შინაგანაწესის შესაბამისად. კოლეჯის პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების თანახმად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წინა ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდებოდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გასცეს შესაბამისობის რეკომენდაცია - ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს შრომითი ხელშეკრულების ფორმა და მოიყვანოს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და თანამშრომლებთან ხელშეკრულებები ახალი რედაქციით გააფორმოს. ასევე ხელშეკრულებ(ებ)ით დაარეგულიროს თანამშრომელთა საათობრივი დატვირთვა, რათა არ დაირღვეს შრომის კოდექსით დაშვებული ნორმები.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია კოლეჯის შინაგანაწესთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და კოლეჯის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციას. განხორციელდა ინტერვიურება კოლეჯის პერსონალთან, მათი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის პირობებთან დაკავშირებით, პერსონალის დანიშვნა ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო მართვა კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით. მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ხელშეკრულებებისა და პირადი საქმეების შესწავლის და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმდინარე პროცესებში. დაწესებულების პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია მოვალეობების შესახებ, რაც ასევე ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი 4.1.2.1 შეესაბამისობაშია.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

კოლეჯში პერსონალის მიღება შეიძლება ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს, მაგრამ დირექტორს აქვს უფლება კოლეჯის ინტერესებიდან გამომდინარე, კონკურსის გარეშეც მოიწვიოს კოლეჯში სასწავლო პროცესის ამაღლებისათვის საჭირო შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებლები და ადმინისტრაციის პერსონალი. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის დებულებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არა უგვიანეს 2 თვის ვადაში. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა განთავსდეს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა და წარმოსადგენი დოკუმენტთა ნუსხა. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს დირექტორი.

ინდიკატორი 4.1.2.2 შეესაბამისობაშია.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

კოლეჯს შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის დებულება და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და რეგულაციები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები,რითაც დადასტურდა მათი კვალიფიკაციის დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობა. პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს შინაგანაწესის შესაბამისად და პერსონალი იცნობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს.

წინა ვიზიტის დროს არ იყო მოწესრიგებული პირადი საქმეები და ექსპერტებმა გასცეს განმავითარებელი რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულება(სერთიფიკატი/დიპლომი/დოკუმენტი) ან დაწესებულებამ თავად უზრუნველყოს გასაუბრების ან შიდა ტესტირების დოკუმენტირება.
კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და შესაბამისობაში მოიყვანა პირადი საქმეები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პირადი საქმეები და დადგინდა, რომ კოლეჯის ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობები ნასამართლეობის შესახებ.

ინდიკატორი 4.1.2.3 შეესაბამისობაშია.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კოლეჯი ახორციელებს თანამშრომელთა შორის ეფექტიანი ურთიერთობებისა და გუნდური მუშაობის ხელშეწყობას, ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას. კოლეჯის მენეჯმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, პროგრამის შემუშავება, დამსაქმებლებსა და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრები და ა.შ. ექსპერტების ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გუნდური თანამშრომლობა, საგანმანათლებლო საქმიანობასა და სხვადასხვა სახის განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვაში ჩართულობა.

ინდიკატორი 4.1.2.4 შეესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით;
- შინაგანაწესით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

ფაქტობრივი მდგომარეობის, საჯარო რეესტრის ამონაწერის და იჯარის ხელშეკრულების (ვადად განსაზღვრულია 01.08.31) თანახმად კოლეჯი მდებარეობს ქ. ქუთაისში, ოცხელის ქ. N2 -ში მდებარე 10 სართულიანი შენობის მე- 5, მე-6 სართულებზე. საერთო ფართი შეადგენს 1196.28 კვ.მ-ს. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. კერძოდ: თეორიული სწავლების აუდიტორიები; კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები; დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები, ადმინისტრაციული სივრცეები, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის; დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის; სანიტარიული კვანძები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის; ბიბლიოთეკა და სხვა. სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება, როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ასევე სხვადასხვა აუდიტორიაში განთავსებული ინვენტარის განაწილების ფორმით და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის აქტებით, ხელშეკრულებებით, მიღება-ჩაბარების აქტებით და ასევე უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალებით.

კოლეჯს შემუშავებული აქვს სასწავლო მიზნებისათვის მატერიალური რესურსის გამოყენების რეგულაცია - ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება და ჰყავს ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი. კოლეჯის ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური ახორციელებს მატერიალურ ფასეულობათა მიღებას, აღრიცხვასა და მოვლა–პატრონობას მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. სამსახური უზრუნველყოფს ძირითადი საშუალებების და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას და ინვენტარიზაციის ჩატარებას სტუდენტებისთვის და თანამშრომლებისთვის სწავლებისა და მუშაობისთვის უსაფრთხო გარემოს, წარმართავს სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოებს, ადგენს ყოველი წლის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წლიურ სამუშაო გეგმას, კონტროლს უწევს შენობა-ნაგებობის, მოწყობილობების, მანქანა-დანადგარების, ელ. ძალოვანი დანადგარების, განათების, გათბობის, საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის, სავენტილაციო, მიწისქვეშა კომუნიკაციების, დაცვის, უსაფრთხოებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვა კომუნიკაციების გამართულ მუშაობას. ამავე სამსახურს ევალება კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების მომარაგება მასალებით, სამეურნეო-საკანცელარიო და სასწავლო ინვენტარით, სასაწყობე მეურნეობის კონტროლი, კოლეჯის სასწავლო კორპუსების, დამხმარე შენობა-ნაგებობის, მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა და დასუფთავება და სხვა.

დებულების თანახმად, საგანმანათლებლო პროცესში გამოსაყენებელი საჭირო მატერიალური რესურსი, მასალა/ნედლეული განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით და იგეგმება შესყიდვა/მარაგების განახლება იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო პროცესს. მოდულის განმახორციელებლებისათვის შესაბამისი რესურსების გაცემა ხდება მოდულის დაწყებისას, ან მიმდინარეობისას (საჭიროების შემთხვევაში). კოლეჯმა წარმოადგინა რესურსების მოთხოვნის, გაცემის შესახებ განცხადებები და მიღება-ჩაბარების აქტები. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯმა გაითვალისწინა 2023 წლის ივნისში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია - „დაწესებულებამ შეასრულოს თავისივე დამტკიცებული რეგულაციით გაწერილი ვალდებულება და აწარმოოს მატერიალური რესურსების/მასალა ნედლეულის გაცემის ჟურნალი, ან გაიაზროს საკუთარი გამოცდილება და შექმნას შესაბამისი რეგულაცია“** - და წარმოადგინა შესაბამისი ჟურნალი, რომლის ქონის ვალდებულებაც გაწრილია შესაბამის დებულებაში, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ბოლო პერიოდში გაცემული რესურსებისა და მასალა-ნედლეულის გაცემის შესახებ, რაც მიღების ხელმოწერით არის დადასტურებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ინდიკატორი 5.1.1.1 შესაბამისობაშია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

კოლეჯის წარმომადგენლებთან, ასევე სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მათ შეუძლიათ ისარგებლონ შენობაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეებით, ფოიეთი, სველი წერტილებით. სტუდენტებისთვის გამოყოფილია რეკრეაციული სივრცე მაგიდით, სკამებით და ასევე მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის მათ განკარგულებაშია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსი. კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსების გამოყენების რეგულაცია, რომელშიც ინფრასტრუქტურის და სხვა მატერიალური რესურსის მოხმარების წესებთან ერთად გაწერილია კოლეჯის ლაბორატორიებით სარგებლობის უსაფრთხოების წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტით, რაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის. ყველა გარემო აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით.

ინდიკატორი 5.1.1.2 შესაბამისობაშია

3. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;**

კოლეჯში შემუშავებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი (დამტკიცებულია საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ დირექტორის ბრძანებით №1291, 14.02.2023 წელი). **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის ივნისში ავტორიზაციის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, წესში შევიდა ცვლილებები (დირექტორის ბრძანება №11134, 21.10.2023) და ამოღებულ იქნა ჩანაწერები კვების ბლოკის და საბავშვო ოთახების შესახებ.** შესაბამისად რეგულაცია მორგებულია კოლეჯის რეალობას.

სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით კოლეჯს ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული 4 დამლაგებელთან, რომელთა უფლება მოვალეობები გაწერილია სამუშაო აღწერის დოკუმენტებში და ასევე მათ ხელშეკრულებებში. წესის მიხედვით რეგულირების სფერო ვრცელდება კოლეჯის ყველა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ სივრცეებზე. შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, მათ შორის არის 1 ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირთათვის. წესის თანახმად კოლეჯი ყოველდღიურად ლაგდება სველი წესით სოდის, საპნის ან სინთეზური სარეცხი საშუალებების გამოყენებით. ფოიეები, აუდიტორიები, და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები ლაგდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების მდგომარეობაში, ირეცხება იატაკი, იწმინდება მტვრიანი ზედაპირები (მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები, გამათბობლები და სხვა). თვეში ერთხელ ტარდება შენობების გენერალური დასუფთავება არა მარტო სარეცხი საშუალებებით, არამედ სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით. ამისათვის გამოიყენება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებები. დოკუმენტით გაწერილი ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა წესები, სრულად უზრუნველყოფს კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც.

ინდიკატორი 5.1.1.3 შესაბამისობაშია

4. **შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;**

კოლეჯის მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება როგორც ვიზუალური დათვალიერებით, პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, ასევე კომუნალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადასახადების ქვითრებით. შესაბამისად, ყველა სასწავლო აუდიტორია და ადმინისტრაციის ოთახი უზრუნველყოფილია გათბობით

ინდიკატორი 5.1.1.4 შესაბამისობაშია

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კოლეჯის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. შენობის საევაკუაციო გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“. შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო გზებსა და გასასვლელებში ეწყობა საევაკუაციო გზის და გასასვლელების მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ადგენს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებით გათვალისწინებულ საჭიროებებს. იგი ასევე უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის ინსტრუქტაჟის ჩატარებას, რაც დადასტურდა ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალით. იგი ახდენს საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკების შეფასების და საკონტროლო/პრევენციული ღონისძიებების დოკუმენტირებასა და განხორციელებას, შრომის უსაფრთხოების კუთხით მოქმედი კანონმდებლობით, მთავრობის დადგენილებებით და ნორმატიული აქტებით მოთხოვნილი სხვადასხვა ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 5.1.1.5 შესაბამისობაშია

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

კოლეჯში შექმნილია - ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, რომელიც ახორციელებს მატერიალურ ფასეულობათა მიღებას, აღრიცხვასა და მოვლა – პატრონობას მოქმედი წესების დაცვით, შემუშავებულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსების გამოყენების რეგულაცია, რითაც განსაზღვრულია მატერიალური რესურსების შესყიდვის, მატერიალური რესურსების მოვლა-შენახვისა და გამოყენების, მატერიალური რესურსების შეფასება-შემოწმებისა და განკარგვის პროცედურები. წესის თანახმად, რაც ასევე დაგვიდასტურეს შესაბამისმა პირებმა, მატერიალური რესურსის შესყიდვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესების, პერსონალის ან/და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით. კოლეჯს ხელშეკრულებით გაფორმებული ჰყავს მატერიალური რესურსების განკარგვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც, კოლეჯის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, დირექტორს აწვდის ინფორმაციას კონკრეტული საქონლის შეძენის საჭიროების შესახებ. თავის მხრივ დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული მატერიალური რესურსის შესყიდვის თაობაზე, რაც განსაზღვრულია კოლეჯის დებულებითაც (კოლეჯის ინტერესების გათვალისწინებით განკარგავს მის ქონებასა და ფინანსებს). შესყიდვის პროცედურას გეგმავს, მოლაპარაკებებს აწარმოებს და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ზედამხედველობას უწევს დირექტორი.

წესის თანახმად დარეგულირებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის უზრუნველყოფის პროცედურებიც. კერძოდ: სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული მასწავლებელთან და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, დირექტორს წარუდგენს წერილობით ინფორმაციას სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული პროგრამის ფარგლებში საჭირო მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის დაწყებამდე ორი კვირით ადრე შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შესაძენი ლაბორატორიული რეაქტივების/მასალების შესახებ. დირექტორის დავალებით ქონების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური შეძენილ რეაქტივებს/მასალებს გადასცემს პროფესიულ მასწავლებელს. მასწავლებლის მიერ რეაქტივების/მასალების მიღება დასტურდება ქონების მართვისა და უსაფრთხოების სამსახურის სპეციალურ ჟურნალში (მიღების) ხელმოწერით. კონტროლს გახარჯული რეაქტივების/მასალების შესახებ აწარმოებს თვითონ პროფესიული მასწავლებელი, ხოლო პროგრამის განხორციელების პროცესში შესაბამისი მატერიალური რესურსებისა და მასალების მუდმივი მონიტორინგი, დანაკლისის შევსების მიზნით, ევალება პროგრამის ხელმძღვანელს.

კოლეჯმა წარმოადგინა ასევე 2023 -2024 სასწავლო წლის შუალედურ ანგარიში, რომლის თანახმად კოლეჯში განხორციელდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მონიტორინგი, რომელმაც დაადგინა, რომ რესურსი სრულად შესაბამისობაშია პროგრამებით განსაზღვრულ სტანდარტებთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვას.

2023 წლის ივნისის პერიოდში განხორციელებული ავტორიზაციის ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით კოლეჯში შეიქმნა მასალა-ნედლეულის ხარჯვის ჟურნალი, რომელშიც აისახა ლაბორატორიაში ფაქტიურად არსებული ნივთიერებები შესაბამისი დროების მიხედვით. ყოველივე ზემოხსენებული დასტურდება ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით, შესაბამის პირებთან და სტუდენტებთან გასაუბრებით, ასევე სასწავლო რესურსების შესყიდვის დოკუმენტაციით და წარმოდგენილი ანგარიშებით. კოლეჯმა გაითვალისწინა ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაცია, რაც ასევე დადგინდა ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით, რომ ლაბორატორიაში ქიმიურ ნივთიერებებზე მითითებულია დასახელებები და ვარგისიანობის ვადები. ისინი ინახება დახურულ, დაცულ კარადებში. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა სრულფასოვნად გაწერილი სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესები.

ინდიკატორი 5.1.1.6 შესაბამისობაშია

7. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;**

კოლეჯის - ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულების სხვადასხვა პუნქტით გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების შეფასება-შემოწმება და განკარგვის პროცედურები, მაგ: კოლეჯის ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური ახორციელებს მატერიალურ ფასეულობათა მიღებას, აღრიცხვასა და მოვლა/პატრონობას მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, რაც გულისხმობს კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციას და შეფასება-შემოწმების შედეგების გამოყენებას ხარისხის მართვის მიზნებისთვის. კოლეჯი ახორციელებს ძირითადი საშუალებების და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას და ღონისძიებების შემუშავებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიმართულებით. კოლეჯმა წარმოადგინა გეგმიური ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ ის ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში. მატერიალური რესურსის განკარგვა ხდება დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე. 2023 -2024 სასწავლო წლის შუალედური ანგარიშით დასტურდება, რომ შეფასება-შემოწმების შედეგები გამოიყენება სამომავლო შესყიდვების დასაგეგმად ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მატერიალური რესურსის განახლება შეკეთების უზრუნველსაყოფად.

კოლეჯმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ჯგუფის მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია და აღრიცხა მატერიალური რესურსები შესაბამის ჟურნალში თავისივე დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

ინდიკატორი 5.1.1.7 შესაბამისობაშია

8. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯში მოწყობილია 2-2 სანიტარული კვანძი. მათ შორის ერთი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. მათში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები, აქვს ვენტილაცია, ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის და პერსონალისთვის.

ინდიკატორი 5.1.1.8 შესაბამისობაშია

9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;**

ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ შენობაში არსებულ ყველა სივრცეში, აუდიტორიაში და ადმინისტრაციულ სივრცეებში, ასევე ბიბლიოთეკაში არის როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 5.1.1.9 შესაბამისობაშია

10. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;**

კოლეჯის ორივე სართულზე არსებული სასწავლო აუდიტორიები განთავსებულია გრძელი კორიდორების გასწვრივ და მათ აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელები. კოლეჯში არსებული სხვა ადმინისტაციული სივრცეებიც ისეა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას.

ინდიკატორი 5.1.1.10 შესაბამისობაშია

11. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

პროფესიული სტუდენტებისთვის, პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც ყველა იმ პროგრამის სასწავლო რესურსი, რომელსაც ახორციელებს კოლეჯი, ასევე მხატვრული ლიტერატურა. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს როგორც ციფრულ ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებულ ინფორმაციას და ინტერნეტრესურსებს. საბიბლიოთეკო სივრცეში შესაძლებელია მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10.00 დან 18.00 საათამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული სასწავლო რესურსები ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში და განთავსებულია ვებგვერდზე. შესაბამისად მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი.

შექმნილია ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც მოიცავს ზოგად რეგულაციებს, ბიბლიოთეკის მიზნებსა და ამოცანებს, ბიბლიოთეკისა და მკითხველის უფლება-მოვალეობებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის, წიგნების გატანისა და დაბრუნების წესებს და სხვა თანმდევ რეგულაციებს. დებულებით დადგენილია სახდელებიც. მაგ. გატანილი მასალის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში აბონენტს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა დაკარგული ან დაზიანებული მასალის ღირებულების შესაბამისად - ზარალის ანაზღაურება იანგარიშება დაკარგული, ან დაზიანებული მასალის გვერდების რაოდენობით. ერთი გვერდი უნდა ანაზღაურდეს 20 თეთრით, ან უნდა ჩანაცვლდეს იგივე წიგნით. **2023 წლის ავტორიზაციის ვიზიტის დასკვნაში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციის თანახმად, ჩანაწერი დებულებაში - „ბიბლიოთეკიდან მასალის ფარულად გატანას ან/და ასეთის მცდელობას თან სდევს შესაბამისი პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან ერთად, შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, ხოლო პერსონალ-აბონენტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა“ ამოღებულია და აღარ იკითხება. ასევე ამოღებულია ჩანაწერი დოკუმენტში „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები“ (მუხლი 45. ბიბლიოთეკის ამოცანები და მიზნები) - „ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა კოლეჯში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, ეროვნული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის ხელშეწყობა.“, რამდენადაც ამ ამოცანის შესრულება კოლეჯის ბიბლიოთეკის ფარგლებში შეუსრულებლად ჩაითვალა.**

დაწესებულების ვებ-გვერდის ველში „ბიბლიოთეკა“ (https://kavkasioni.edu.ge/bibliotheka/) ატვირთულია ბიბლიოთეკის შინაგანაწესი; ბიბლიოთეკის დებულება; ელექტრონული წიგნების კატალოგი(ელექტრონული ცხრილი, სადაც მითითებულია კოლეჯში დაცული წიგნები მისამართების მიხედვით).

ინდიკატორი 5.1.1.11 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსების გამოყენების რეგულაცია, მატერიალური რესურსების გამოყენების რეგულაცია
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;
- მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციის, აღწერის, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტებით;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების შესყიდვისა და მიღება-ჩაბარების აქტებით;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესით დამტკიცებულია საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ დირექტორის ბრძანებით №1291, 14.02.2023 წელი
- გადახდის ქვითრებით;
- ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება.
- კოლეჯის რექტორის 2019 წლის 6 სექტემბრის თ №04-89 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესებით“ (ბოლო ცვლილება 04-36 09.03.2022)
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგებით.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ფაქტობრივი მდგომარეობის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში დაცულია უსაფრთხოების ზომები. ის, რომ ქუთაისში, ოცხელის ქ N2 -ში მდებარე კოლეჯის „კავკასიონი“ საგანმანათლებლო დანიშნულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შენობა-ნაგებობების მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს, დასტურდება კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს მიერ 2023 წლის 20 თებერვალს გამოგზავნილი წერილით - აქტი N 34 სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარების შესახებ. კოლეჯს შემუშავებული აქვს ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. აღნიშნული გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს. ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის მიერ, კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის, 2024 წლის 21 თებერვალს ჩატარებული იქნა სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკის სწორი გამოყენებისათვის სასწავლო ვარჯიში, რომელიც გაიმართა კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ინდიკატორი 5.1.2.1 შესაბამისობაშია

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

კოლეჯი უზრუნველყოფს დასაქმებულებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კანონმდებლობით დაშვებული პირველადი გადაუდებელი დახმარებას. ამ მიზნით კოლეჯში გამოყოფილია კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო სამედიცინო ინვენტარით, სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებებით. კაბინეტის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. იგი ამავდროულად არის პროგრამის „საექთნო განათლების" ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირი. მისი არყოფნის შემთხვევაში პირველად გადაუდებელ დახმარების აღმოჩენას ახორციელებენ ადმინისტრაციის თანამშრომლები, რომლებსაც გავლილი აქვთ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ფოტომასალით. დგინდება, რომ აღნიშნული ტრენინგი ჩაატარა პროგრამა „საექთნო განათლების" ხელმძღვანელმა. რეგულაციის თანახმად საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი ეტაპობრივად უზრუნველყოფს დასაქმებული პირების გადამზადებას პირველადი გადაუდებელი დახმარების კურსების გავლის ხელშეწყობის გზით. პირველადი დახმარების აღმოჩენის შემთხვევა ფიქსირდება დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალურ ჟურნალში.

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი გაწერილია კოლეჯის „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებში" (მუხლი N8), რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე აღმოჩენილი პირველადი დახმარება შედეგს არ იძლევა, მაშინ პასუხისმგებელი პირი აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს გადაუდებელ სასწრაფო დახმარების სამსახურს, ამის პარალელურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უკავშირდება ავადმყოფის ოჯახს. ავადმყოფის კოლეჯიდან გადაყვანის შემთხვევაში პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი მას მიყვება საავადმყოფოში და მასთანაა ოჯახის წევრების მოსვლამდე. ექთანი ვალდებულია აკონტროლოს კაბინეტში არსებული სამედიცინო საშუალებების ხარჯვა და ვარგისიანობა, ასევე სამედიცინო ინვენტარის გამართული ფუნქციონირება, კოლეჯის დირექტორს მიმართოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებებით კაბინეტის აღჭურვასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით კოლეჯმა რეგულაციიდან ამოიღო ჩანაწერი - "პასუხისმგებელი პირი ვალდებულია „კოლეჯის დირექტორს წარუდგინოს შესაძენად აუცილებელი სამედიცინო მედიკამენტების ნუსხა". საქართველოში მოქმედი რეგულაციის თანახმად მედიკამენტის გაცემის უფლება არალიცენზირებულ პირს არ აქვს"

კოლეჯმა წარმოადგინა „წესრიგის, უსაფრთხოების პირობების დარღვევისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის რეგისტრაციის ჟურნალი" სადაც აღრიცხულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ფაქტები. დაცულია სასწრაფო დახმარების გამოძახების ბლანკები.

ინდიკატორი 5.1.2.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

საკუთარ ტერიტორიაზე სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელშიც გაწერილია საგანგებო შტაბის შეტყობინების გეგმა, შექმნილია საგანგებო შტაბი, რომლის მიზანია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა. დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოებისათვის სათანადო მოწყობილობები. პროფესიული სტუდენტებს და პერსონალს სასწავლო წლის განმავლობაში უტარდებათ ინსტრუქტაჟები საგანგებო სიტუაციების რეაგირების წესების შესახებ. მტკიცებულებად კოლეჯმა წარმოადგიანა ინსტრუქტაჟების ჩატარების აღრიცხვის ჟურნალები. შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები და მანიშნებლები,

ინდიკატორი 5.1.2.3. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კოლეჯის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის საკითხები დარეგულირებულია შინაგანაწესით და ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებით. დოკუმენტებში გაწერილი დებულებები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. კოლეჯი თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს პერსონალისათვის საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნას, ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკურ მოწყობას და შრომის ისეთი პირობების შექმნას, რომელიც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს. ამ მიზნით, კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი კომპეტენციის ფარგლებში პერსონალს პერიოდულად უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარული ნორმების, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ და თავად ახორციელებს ყველა მათგანის შესრულებაზე მუდმივ კონტროლს. დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში, შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად, ეკისრება შესაბამისი პრაქტიკის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს

კოლეჯს ემსახურებიან დაცვის თანამშრომლები. კოლეჯის ტერიტორიაზე კოლეჯის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა აუდიო ჩანაწერის გარეშე. ამ სისტემით განხორციელებულ ვიდეო-მასალაზე დაშვების უფლება აქვს: კოლეჯის დირექტორს; უსაფრთხოების სამსახურს; საჭიროების შემთხვევაში სხვა პირებს დირექტორის თანხმობით.

კოლეჯი თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს პერსონალისათვის საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნას, ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკურ მოწყობას და შრომის ისეთი პირობების შექმნას, რომელიც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს (უსაფრთხოების ტექნიკის წესებს, სანიტარულ ნორმებს და ა.შ.). ამ მიზნით, კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი კომპეტენციის ფარგლებში პერსონალს პერიოდულად უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარული ნორმების, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ და თავად ახორციელებს ყველა მათგანის შესრულებაზე მუდმივ კონტროლს.

ინდიკატორი 5.1.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან, ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების დათვალიერების შედეგები;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან- დაცვასთან
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- შინაგანაწესი;
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი.
- პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთვარებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

- პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
- პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
- დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
- პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
- პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;**

შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „კავკასიონი“ მფლობელობაშია 57 კომპიუტერი და 5 ლეპტოპი. სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია უსადენო (wifi) ქსელი. კომპიუტერების პარამეტრები სრულ შესაბამისობაშია სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესებთან, ჩაწერილია დარგობრივი კომპიუტერული პროგრამები (მათ შორის პროგრამა ორისი (ORIS). აკადემიის მლობელობაშია ასევე 10 პრინტერი, 8 მონიტორი, 2 პროექტორი და სხვა. არსებული აპარატურის მონიტორინგი ხორციელდება შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლის მიერ როგორც გეგმიურად, ისე დამდგარი საჭიროების შესაბამისად.

ინდიკატორი 5.2.1.1. შესაბამისობაშია

2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირთან გასაუბრებით და ასევე ფაქტობრივი მდგომარეების შესწავლით, დასტურდება, რომ იგი სისტემატურად თვალყურს ადევნებს კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკის გამართულობას, ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. თითოეულ კომპიუტერს აქვს IT ვირუსისგან დამცავი სისტემა, რომელიც ახლდება პერიოდულად. კოლეჯში შექმნილია კომპიუტერული ქსელი, რომლის მართვა, სისტემატიური განახლება, მისი უსაფრთხოების დაცვა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება, კომპიუტერული ტექნიკისთვის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი ასევე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობაა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, კოლეჯის სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციულ პერსონალისთვის და პროფესიული მასწავლებლებისთვის შექმნილია სწავლისა და მუშაობისთვის შესაბამისი პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5.2.1.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების თანახმად, რომელიც გაწერილია დოკუმენტში „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებები“, სტუდენტის/პროფესიული მასწავლებლის შესახებ პირადი ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ პირადად სტუდენტზე/პროფესიულ მასწავლებელზე, ან მათი ნდობით აღჭურვილ პირზე (ნოტარიულად დამოწმებული). სტუდენტის/პროფესიული მასწავლებლის პირადი ინფორმაცია, მათი თანხმობით (დასტურდება ხელშეკრულებით, ან შეთანხმებით), შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო, ან საავტორიზაციო მიზნებისთვის. სტუდენტის/პროფესიული მასწავლებლის პირადი ინფორმაციის შენახვასა და გაცემას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახური.

2023 წლის ივნისში განხორციელებული ავტორიზაციის დასკვნაში გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ყველა დასაქმებულის თუ პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებებში გაჩნდა ჩანაწერი - თანახმა ვარ კოლეჯში დაცული ჩემი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია და ფოტომასალა გასაჯაროვდეს კოლეჯის ინტერესებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი **5.2.1.3 შესაბამისობაშია**

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსთან გასაუბრებით, ასევე მისი სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების გაცნობით, დადგინდა, რომ იგი აკონტროლებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას, მიმდინარე პროცესებს და ადგენს მათი გაუმჯობესების აუცილებლობას, საჭიროებისამებრ ახდენს მათ შეკეთება-განახლებას. ექსპერტების მიერ შერჩევით შემოწმებული კომპიუტერული ტექნიკა, მუშაობდა გამართულად. 2023 წლის ავტორიზაციის დასკვნაში მითითებული იყო, რომ ინტერნეტი, მათი ვიზიტის პერიოდში ხარვეზებით მუშაობდა, თუმცა, მონიტორინგის ვიზიტის დროს კოლეჯს ინტერნეტი მიეწოდებოდა უწყვეტად, რისთვისაც კოლეჯმა შეიძინა დამატებითი ინტერნეტ პაკეტი და წარმოადგინა სესაბამისი შესყიდვის მიღება ჩაბარების აქტი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კოლეჯი აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

ინდიკატორი 5.2.1.4. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

დოკუმენტით „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ რეგულირდება კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა. კოლეჯის წარმომადგენლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა განმარტეს, რომ მათთვის მუდმივად ხელმისაწვდომია კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. ვიზუალური დაათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯის გარემო, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიით. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, სადაც ჩატვირთულია სასწავლო რესურსები.

ინდიკატორი 5.2.1.5. შესაბამისობაშია

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებისათვის კოლეჯში შექმნილია ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმები. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის სოციალურ ქსელში Facebook Messenger-ის გამოყენებით შექმნილია ჯგუფები, აქტიურად გამოიყენება gooogle და ელექტრონული ფოსტა. ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმების შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტებთან ინფორმაციული კომუნიკაცია ხორციელდება ელ-ფოსტით და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებით. ონლაინ ჯგუფებში გაწევრიანებული არიან როგორც სტუდენტები, ასევე განმახორციელებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები, სადაც სტუდენტებს მიეწოდებათ მიმდინარე ცხრილები, ინფორმაცია დაგეგმილი აქტივობების, შეფასებების, დასაქმების შესახებ.

დისტანციურ რეჟიმში სწავლებასთან დაკავშირებით კოლეჯი იყენებს Microsoft Teams-ის ფასიან მომსახურებას. კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არის გამოყოფილი ველი „დატოვე ინფორმაცია“(https://kavkasioni.edu.ge/datoveth-inphormatsia/), რაც დაინტერესებულ პირებს უადვილებს კოლეჯთან კომუნიკაციას.

ინდიკატორი 5.2.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულება დომეინის შესყიდვის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხელშეკრულება ვებ ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- კომპიუტერების, ლეპტოპების, ვიდეო კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოწმებისა და შეფასების შედეგები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

კოლეჯს, 2023 წლის ავტორიზაციის ჯგუფის მიერ, მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - გადაამუშავოს საქმისწარმოების წესი, მოიყვანოს საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში და დაარეგულიროს კოლეჯში მიმდინარე საქმისწარმოების ყველა პროცესი სრულფასოვნად. მათ შორის დარეგულირდეს, თუ როგორ ხდება მკაცრი აღრიცხვის ფორმების შევსება, დიპლომის ან/და სერტიფიკატის გაცემა, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერა, გაცემული დიპლომის ან/და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის შეცვლა პირად მონაცემებში ცვლილებისა და ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში და სხვა. დარეგულირდეს ასევე მკაცრი აღრიცხვის ფორმების, დიპლომისა და სერტიფიკატის გაცემის რეგისტრაციის ჟურნალების წარმოების წესი. არსებული მკაცრი აღრიცხვის ჟურნალები აიკინძოს შესაბამისი წესით. უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაციები და დირექტორის 2023 წლის 01 ოქტომბრის №9818 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილებები შეიტანა აღნიშნულ დოკუმენტში (საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები, თავი IV. საქმისწარმოების წესი). მასში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განსაზღვრულია დიპლომების და სერთიფიკატების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი.კერძოდ: დიპლომების და სერთიფიკატების დაბეჭდვა ხორციელდება განათლების სამინისტროს მიერ ავტორიზებულ შესაბამის პოლიგრაფიულ საწარმოში, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. დიპლომების რეგისტრაცია და აღრიცხვა წარმოებს „დიპლომების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ჟურნალში", რომელშიც გამოყოფილი უნდა იყოს შემდეგი პარაგრაფები; რიგითი ნომერი, დიპლომის რეგისტრაციის ნომერი, სახელიდა გვარი, პროგრამა, პროგრამაზე შესვლის წელი, პროგრამის დასრულების წელი, დირექტორის ბრძანების თარიღი და ნომერი, დიპლომის ბლანკის ნომერი, მინიჭებელი კვალიფიკაცია ან აკადემიური ხარისხი, დიპლომის ხელმოწერის თარიღი, დიპლომის გაცემის თარიღი, პირადი ნომერი№ და დიპლომის მიღებაზე ხელმოწერა, დიპლომის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სერთიფიკატების რეგისტრაცია და აღრიცხვა წარმოებს „სერთიფიკატების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ჟურნალში", რომელშიც გამოყოფილი უნდა იყოს შემდეგი პარაგრაფები; რიგითი ნომერი, სერთფიკატის რეგისტრაციის ნომერი, სახელი და გვარი, პროგრამა, პროგრამაზე შესვლის წელი, პროგრამის დასრულების წელი, სერთიფიკატის ხელმოწერის თარიღი, დირექტორის ბრძანების თარიღი და ნომერი, სერთიფიკატის ბლანკის ნომერი, სერთიფიკატის გაცემის თარიღი, პირადი ნომერი № და სერთიფიკატის მიღებაზე ხელმოწერა, სერთიფიკატის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. დიპლომების და სერთიფიკატის შევსება, გაცემა, დუბლიკატის გაცემა, გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომის/სერთიფიკატის ჩამოწერა მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. კოლეჯის მიერ პერსონალისთვის განხორციელებული გადამზადების პროგრამის ფარგლებში კოლეჯი შეიმუშავებს სერთიფიკატის ფორმას, რომელიც დამტკიცდება დირექტორის ბრძანებით. გადამზადების პროგრამის სერთიფიკატების ბეჭდვას განახორციელებს თავად კოლეჯი. გადამზადების პროგრამის სერთიფიკატების რეგისტრაცია და აღრიცხვა განხორციელდება დამატებით შექმნილ „სერთიფიკატების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ჟურნალში" მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების შესაბამისად. 24 სტუდენტისთვის დიპლომის და სერთიფიკატის გაცემისათვის გასაცემად ბრძანების გამოცემიდან 60 დღის ვადაში. მუხლი 25. საქმეთა ფორმირება და კოლეჯის არქივში გადასაცემად მომზადება.

ექსპერტთა მიერ შემოწმდა და დადგინდა, რომ კოლეჯში განხორციელდა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების, დიპლომებისა და სერტიფიკატების სააღრიცხვო ჟურნალების გადამუშავება და განახლება, რომელიც სრულად პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დიპლომების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ჟურნალში გამოყოფილია შემდეგი გრაფები: რეგისტრაციის ნომერი, დიპლომის ნომერი, გვარი და სახელი, სპეციალობა, დიპლომის შევსების თარიღი, დიპლომის გაცემის თარიღი, პირადობის მოწმობის №,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიპლომის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, დიპლომის მიმღები და შენიშვნა. ამასთან აღნიშნული ჟურნალი არის დანომრილი, ზონარგაყრილი, ბეჭედდასმული, აკინძულია. და უფლებამოსილი პირის მიერ არის ხელმოწერილი.
ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისობაშია.

2. **პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;**

კოლეჯი უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით, ბუღალტერია სარგებლობს ORIS -ის ელექტრონული პროგრამით, საქმისწარმოებისთვის, მატერიალური ფორმის დოკუმენტბრუნვასთან ერთად, გამოყენებულია ელექტრონულ სისტემა e-flow. სტუდენტებთან თუ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის კოლეჯი იყენებს სოციალურ ქსელებს, საკუთარ ვებგვერდს. საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პროცესებში, ასევე კვლევების ჩასატარებლად კოლეჯი იყენებს ასევე Google-ს სერვისებს, სასწავლო პროცესში, მეცადინეობებისა და კონსულტირებისთვის ასევე გამოყენებულია teams პლატფორმა.
ინდიკატორი 5.2.2.2 შესაბამისობაშია.

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;**

ექსპერტების მიერ, გამოცემული აქტების (ბრძანებები პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ, ასევე დაწესებულების, პერსონალის და საგანმანათლებო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მართვა საინფორმაციო სისტემაში) შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ვადების დაცვით ასახვას.
ინდიკატორი 5.2.2.3 შესაბამისობაშია.

4. **პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

ექსპერტთა შემოწმების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს „საქმიწარმოების წესით“ დადგენილი, შემოსული დოკუმენტების შესრულების და გაცემის ვადები, რომელზე კონტროლიც ეკისრება საქმისმწარმოებელს. კოლეჯის დებულებაში ასახულია, თუ რა პრინციპით და რა პერიოდში ხდება ინფორმაციის ასახვა www.evet.emis.ge-ზე. შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ასევე შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების მაგალითები და დადასტურდა, რომ კოლეჯი დროულად აწვდის უკუკავშირსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, როგორც ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow სისტემით, ისე კოლეჯის ელექტრონული ფოსტით.

ინდიკატორი 5.2.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი;
- ელექტრონულ სიტემის (eFlow) შემოწმების შედეგები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები და შემოწმების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

კოლეჯის ვებგვერდი და ასევე სოციალური ქსელის გვერდი ასრულებენ როგორც საკომუნიკაციო, ისე საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებენ ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების შესაძლებლობას. რეგულარულად მიმდინარეობს ინფორმაციის განახლება. ვებ-გვერდზე https://kavkasioni.edu.ge/ განთავსებულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია: საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი), ასევე ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე მათი ანგარიშები, კატალოგი, შესრულების ანგარიშები, კანონმდებლობასთან შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, კატალოგი, ინფორმაცია დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესთან დაკავშრებული აქტივობების შესახებ. სიახლეები, ფოტოგალერეა, ინფორმაცია პარტინორების შესახებ, ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკის შინაგანაწესი, ელექტრონული ფაილი, სადაც მითითებულია ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების ჩამონათვალი ცხრილის სახით.

ინდიკატორი 5.2.3.1 შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

დაწესებულება არ ახორციელებს საერთაშორისო/ უცხოენოვან პროგრამებს. შესაბამისად დაწესებულების ვებ-გვერდი ქართულენოვანია,

ინდიკატორი 5.2.3.2 შესაბამისობაშია.

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის დებულებით განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო პროცესების, დაგეგმილი ან განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიების საჯაროობის უზრუნველყოფა, მათ შორის კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში განსათავსებლად შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ვებგვერდის ადმინისტრატორისთვის და მონიტორინგი. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის სანდოობაზე. შეფასებით დადგინდა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ინდიკატორი 5.2.3.3 შესაბამისობაშია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მოიცავს სასწავლო კოლეჯის დაარსებისა და განვითარების ისტორიას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ფოტომასალას. მასში გაზიარებულია დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები. შეტანილია საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები, ინფორმაცია პრაქტიკის განხორციელებისა და პარტნორი ორგანიზაციების შესახებ, ინფორმაციას სტუდენტების შეფასების სისტემის, ექსტრაკურიკულური აქტივობების შესახებ. მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი 5.2.3.4. შესაბამისობაშია.

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**

კოლეჯის ვებგვერდზე ატვირთული პროგრამების კატალოგი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას და ახლდება ყოველი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, პროგრამებში განხორციელებული ცვლილების შეტანისას თუ მოდიფიცირების შემთხვევაში. კატალოგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ცვლილებების შემთხვევაში გონივრულ ვადებში ხორციელდება კატალოგის განახლება, რათა სწორი ინფორმაცია მიეწოდოთ დაინტერესებულ მხარეებს. აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ **რეკომენდაციების შედეგად ვებგვერდის კატალოგში მყისიერად შევიდა ცვლილებები და გასწორდა პროგრამაში კრედიტებთან მიმართებით დაშვებული უზუსტობები.**

ინდიკატორი 5.2.3.5. შესაბამისობაშია

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის უფროსმა გასაუბრებისას აგვიხსნა, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის აქტიურად იყენებს სოციალური ქსელის გვერდიდან, კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციას, რომელზე უკუკავშირიც გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული კრიტერიუმის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია, მათ შორის დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მასწავლებლები და ა.შ.) კვლევის შესაბამისი ინსტრუმენტები/კითხვარები.

ინდიკატორი 5.2.3.6 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები;
- პსდ-ს ვებ-გვერდი www.kavkasioni.edu.ge;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023;
- ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- დომენის ხელშეკრულება;
- გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2, V-VI სართული.
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	112
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	112
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში სასწავლო პროცესი რეგულირდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით“ (ბრძანება №11876. 06.12.2022, ბოლო ცვლილება ბრძანება №9818, 01.10.2023 წელი). კოლეჯში „ფარმაცია სააფთიაქოს“ მოდულების განსახორციელებლად გამოყოფილია რამდენიმე სივრცე:

ერთი A ტიპის გარემო 56+1ადგილით მაგიდით, სკამით, დაფით, პროექტორით, თვალსაჩინოებებით, სადაც მოთავსებულია ასევე სიმულაციური აფთიაქი ბავშვთა კვების, დეკორატიული და სამკურნალო კოსმეტიკური, პრეპარატების, რეცეპტების და ავადმყოფის მოვლის საგნების ნიმუშებით (მკერდის ხუფი მეძუძური დედისთვის, ცხვირის ასპირატორი, ბავშვთა ზეთები, ტალკი და შამპუნები, ხელისა და ფეხის მოვლის საშუალებები, საპარსი საშუალებები და სხვა) , ასევე ფარმაკოლოგიისთვის სიმულაციური პრეპარატების ნიმუშები და შევსებული და შეუვსებელი რეცეპტის ბლანკები.

ორი B ტიპის გარემო - პირველი B გარემო - აუდიტორია N5, 28+1 ადგილი მაგიდით, კომპიუტერით და სკამით, დაფა, ეკრანი, პროექტორი, თვალსაჩინოებები. აუდიტორია N7 28+1 ადგილი მაგიდით და სკამით, კომპიუტერი, დაფა, ეკრანი, პროექტორი, თვალსაჩინოებები;) B სასწავლო გარემო ამ პროგრამის ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 3 კრედიტი (7 კვირა).

C გარემო, კაბინეტი 20 - 28 +1 ადგილით, სკამით, მაგიდით, 2 ღია კარადით, ქიმიური მაგიდით, ქიმიური და ტექნოლოგიური აღჭურვილობით: ქიმიური კარადებით, სველი წერტილით, გამწოვი კარადით, მაშრობი კარადით, რეფრაქტომეტრით, მიკროსკოპებით, სხვადასხვა ზომის ძაბრებით სხვადასხვა ქიმიური და ტექნოლოგიური ჭურჭლით, სასწორებით, კოლბებით, სინჯარებით, ტიგელებით, შტატივებით და სხვა ქიმიური ჭურჭლით და რეაქტივებით, რომელიც წარმოადგენს ქიმიურ-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიას.

,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი წარმოადგენს პროგრამის დანართს. შესაბამისი შესყიდვის/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, დარგის ექსპერტის მიერ, გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების არსებობა დაწესებულებაში და დადგინდა, რომ **2023 წლის ივნისში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დროულად უზრუნველყოს, ფარმაციის ლაბორატორიისთვის, პროგრამით გათვალისწინებული საჭირო მასალა ნედლეულის შეძენა და დაზიანებული ინვენტარის შეძენა/აღდგენა** - კოლეჯმა სრულად გაითვალისწინა და დადასტურდა, რომ ლაბორატორია სრულად არის აღჭურვილი. კერძოდ: ლაბორატორიაში განთავსებულია მაცივარი, ჰიგრომეტრი (ტემპერატურისა და ტენიანობის საზომი), ცეცხლმაქრი, C გარემოში დამონტაჟებულია სპეციალური გამწოვი მოწყობილობა სპეციალური სამუშაო მაგიდით, ფუნქციონირებს კონდენციონერი და მაშრობი კარადა. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების მანიშნებელი და უბედურ შემთხვევის დროს პირველადი დახმარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესები, შეძენილია კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, რომელშიც განთავსებულია შტლანგასები, რომლებზეც განთავსებულია ქიმიური ნივთიერების დასახელებები- ლათინურად), შემადგენლობის, პრეპარატული ფორმის იდენტიფიცირების მანიშნებლები რაოდენობა ვარგისიანობის ვადები. კოლეჯმა წარმოადგინა ლაბორატორიაში უსაფრთხოების, ქცევის და ნარჩენების უტილიზაციის წესები. კოლეჯმა წარმოადგინა ხელშეკრულება კომპეტენტურ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს სახიფათო ნარჩენების გატანას. ლაბორატორიაში განთავსებულია სპეციალურ კონტეინერები განთავსებული შესაბამისი აღნიშვნებით.

საგანმანათლებლო პროგრამით „ფარმაცია სააფთიაქო გათვალისწინებულია რვა პრაქტიკული მოდულის სწავლება, შესაბამისად კოლეჯს ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან: შპს „გეფა“სთან“ (ხელშეკრულება .N16. 30 ოქტომბერი 120 სტუდენტი) და შპს „ავერსი ფარმასთან“ (ხელშეკრულება N59, 25.09. 2020 წ. და შეთანხმება ხელშეკრულებაზე N1321.06.2023, 120 პროფ. სტუდენტი). ეს მოდულებია:

- „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“,
- „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“,
- „სანიტარიულ - ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“
- „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“,
- „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“,
- „მომხმარებლისათვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“;
- „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“,
- „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას - კოლეჯის და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 18 პირი, მათ შორის 6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი მოდულების, ხოლო 12 პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები. რამდენადაც ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამებზეც, ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი კვირეული დატვირთვა და დადგინდა, რომ მათი საკონტაქტო საათების რაოდენობა არ აღემატება 40 საათს.

2023 წლის ივნისში განხორციელებული ავტორიზაციის პირობებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციის - საზოგადოებრივ კოლეჯმა „კავკასიონი“ პროფესიული მოდულების განხორციელება უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლებით - შესრულების დადგენის მიზნით, ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა განმახორციელებლის პირად საქმეში განთავსებული დიპლომები და სერტიფიკატები, რითაც დადასტურდა მათი კომპეტენციის შესაბამისობა კონკრეტულ მოდულებთან.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

კოლეჯის მიერ შემუშავებულ „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები“-ში განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის მუშაობის წესები.

ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენციის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტი და ან სამუშაო გამოცდილება, არანაკლებ 2 წლისა.

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ინტერვიუ მოდულების განმახორციელებელ პირებთან. როგორც დადგინდა, ისინი მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე ყველას გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესახებ. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სფეროში და ამ სფეროში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე - კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რამაც დაადასტურა, რომ იგი არის დარგის კვალიფიციური წარმომადგენელი, პროფესიით პროვიზორი, აქვს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება და დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტია. იგი არის თავისი საქმის მცოდნე პროფესიონალი, რომელიც ჩართულია სასწავლო პროცესების შემუშავებასა და განხორციელებაში, მჭიდროდ თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტებთან და არის დარგის კვალიფიციური კადრი. ექსპერტები გაეცნენ პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას, რომელშიც ასახულია მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელისა და მისი როგორც მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა ყოველკვირეულად არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დამტკიცებული საათობრივი დატვირთვა; ცხრილები).

დარგის ექსპერტების მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუთი დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელს აღნიშნული მიმართულებით აქვს დიდი გამოცდილება, პროგრამის ხელმძღვანელი არის თავისი საქმის მცოდნე, კომპეტენტური, სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში და ასევე ინტეგრირებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე საბიბლიოთეკო საძიებო სისტემაში. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა კოლეჯში არსებული სასწავლო რესურსი, დადგინდა მათი შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და დადასტურდა მათი არსებობა, როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. პროფესიულმა მასწავლებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს, რომ მათ მარტივი წვდომა აქვთ სასწავლო რესურსებთან.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით განსაზღვრული აქვს, თუ როგორ მოახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს მათ სწავლის პროცესში ჩართულობას ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება – საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ამ ეტაპამდე, კოლეჯს სსსმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილება არ აქვს, არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია (სააფთიაქო), ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. დაწესებულების მიერ წარდგენილ ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს: ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასის ხარჯს, პროფესიული მასწავლებლებისა განვითარების, კომუნალური გადასახადების ხარჯს, მასალებისა და ნედლეულის და სხვა ხარჯს. კოლეჯის ბიუჯეტის შესაბამისად, რენტაბელობის ზღვარი არის 15 სტუდენტი.

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „მატერიალური რესურსი და სასწავლო გარემო“ დანართი 1;
- სასწავლო გეგმა ფარმაცია 2023 დანართი 37;
- გასაუბრებები პროგრამის განმახორციელებელ პირებთან;
- მოდულების მიხედვით აუდიტორიების განაწილება;
- გასაუბრებები პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან;
- გასაუბრები პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- კოლეჯის დირექტორის №2833. 28.03.2023 წელი. ბრძანებით დამტკიცებულია „პროგრამის გამახორციელებელი პერსონალი“ პროგრამა „ფარმაცია -სააფთიაქოსთვის“.
- ხელშეკრულება :შპს „გეფა“სთან“ (ხელშეკრულება .N16. 30.10.2023წ.);
- ხელშეკრულება შპს „ავერსი ფარმთან“(ხელშეკრულება. N59. 25.09. 2020წ;)
- შეთანხმება ხელშეკრულებაზე N13 21.06.2023წ.
- პროგრამის შესაბამისი ადამიანური რესურსის ჩამონათვალი და განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;„ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები“ ბრძანება №11876. 06.12.2022 წელი; ბოლო ბრძანება (ცვლილება) №9818. 01.10.2023 წელი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; საგანმანათლებლო პროცესს ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი რომელიც, კოორდინაციას უწევს კოლეჯში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე. კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო გრაფიკის შესაბამისად. მეცადინეობათა ცხრილი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კალენდარული გეგმის ფორმა, რომელსაც მოდულის დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებლები წარადგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერთან. ექსპერტთა მიერ ნიმუშის სახით გაანალიზდა სამი მოდულის კალენდარული გეგმა (მცირე შფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა-მარკირება, ფარემაცევტული ანალიზი-1; და ფარმაკოლოგია). ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუ სასწავლო პროცესის მართვასა და ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან. დადასტურებულია სასწავლო გეგმის, მოდულისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად მეცადინეობათა მიმდინარეობა. მიმდინარე წარმოების ფარგლებში - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა პროფესიულ სტუდენტთა განაწილებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, პარტნიორ კომპანიებში. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა მეცადინეობის აღრიცხვის ჟურნალი და შეფასების ინსტრუმენტები. კომპანიაში სწავლება ხორციელდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტთა განაწილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან და შპს ,,გეფა"ს და სპს „ავერსი ფარმას" პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებით.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში, ასევე შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა. პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილია ყველა სასწავლო მოდული და განსაზღვრულია სასწავლო კვირების რაოდენობა და დაგეგმილია დამატებითი შეფასების და განმეორებითი დამატებითი შეფასების ვადები (მინიმუმ 2 კვირა) იმ მოდულებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს მეორე მოდულზე დაშვების წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს,

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის დირექტორის „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები" განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისა და მიღებული შეფასების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისა და სხვა საკითხების შესახებ. ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს. პროფესიულმა სტუდენტებმა ისაუბრეს იმის თაობაზე, რომ პარტნიორ ორგანიზაციებში პროფესიულ სტუდენტთა განაწილებისას კოლეჯმა გაითვალისწინა მათი ინტერესები და ყველა სტუდენტს მიეცა საშუალება სწავლება გაევლოთ რეალურ სამუშაო გარემოში კომპანიებში: შპს ,,გეფა"-ში (ხელშეკრულება N16 30.10.2023წ.); შპს „ავერსი ფარმა" (ხელშეკრულება N59 25.09, 2020 წ. შეთანხმება ხელშეკრულებაზე N13 21.06.2023წ.);

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების დოკუმენტის მიხედვით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება ძირითადად დგება პროფესიული მოდულების განხორციელებისას. ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებელს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ისინი ასევე, აფიქსირებენ მზაობას სისტემატურად კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეფასებით დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს. კოლეჯის მიერ პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება დამხმარე ჩანაწერების ნაწილში. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ონლაინ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია.

4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების ინტერვიურებით დასტურდება, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგებს, მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან, პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პირი, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მაგალითად კოლეჯმა წარმოადგინა დოკუმენტაცია, რითაც დადგინდა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სწავლება განხორციელდა პანდემიის პერიოდში. კერძოდ, ჯგუფებისათვის დამტკიცდა სასწავლო გრაფიკი, გაწერილი კონკრეტული კვირების მიხედვით, მოდულებზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით. ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; ხოლო, რაც შეეხება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურას, იგი გაწერილია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში (მუხლი56- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია).

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია.

5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

დაწესებულებას პრაქტიკული სწავლების განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულებები ორ ფარმაცევტულ დაწესებულებასთან: შპს „გეფა“სთან“ (ხელშეკრულება .N16. 30.10.2023წ. 120 სტუდენტი) და შპს „ავერსი ფარმთან“ (ხელშეკრულება. N59. 25.09. 2020წ, შეთანხმება ხელშეკრულებაზე N13 21.06.2023წ. 120 სტუდენტი). ხელშეკრულებებს თან ახლავს სამი დანართი. დანართი 1. მოდულთა ჩამონათვალი, რომელსაც გადიან აღნიშნული პრაქტიკის ობიექტებზე; დანართი 2. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ზოგადი ჩამონათვალი. დანართი 3. სწავლების გეგმა. პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია 8 პროფესიული მოდულის პრაქტიკული კომპონენტის სწავლება.

1. “სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“;
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება“;
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“;
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“;
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“;
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“;
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“.
მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობის გათვალისწინებით ჯამში ხელშეკრულებები გაფორმებულია 240 პროფესიული სტუდენტის სწავლებაზე (ორივე განყოფილებისთვის - ქუთაისში და თბილისში). ერთ ცვლაში შესაძლებელია თითო აფთიაქში ორი პროფესიული სტუდენტის სწავლება. ხელმოწერებით დადასტურებული პარტნიორთა მიერ კორესპონდენციების ჩაბარება და შევსებული პარტნიორი კომპანიის კითხვარები. ასევე ექსპერტებმა გადაამოწმეს პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების ცხრილები და პარტნიორი ორგანიზაციის დირექტორთა სახელზე გადაგზავნილი სტუდენტთა სიები.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

შპს” საზოგადოებრივი კოლეჯ „კავკასიონს“ შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები, ასევე კოლეჯის დირექტორს დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტთან“ და შემუშავებულია „ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის წესი“, რომელიც დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონის“ დირექტორის მიერ (ბრძანება N11131 21.10.2022წ.). კოლეჯმა წარმოადგინა ასევე შრომის უსაფრთხოების დებულება, რომელიც არეგულირებს შრომის უსაფრთხოების ნორმებს. ლაბორატორიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,ფარმაცია(სააფთიაქო)“ გამოკრულია ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ზოგად და ტექნიკურ წესებს, რომლის დაცვა ევალება ყველა ლაბორატორიაში მყოფ პირს. C გარემოში განთავსებულია გამწოვი კარადა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების უსაფრთხოებას პრაქტიკული აქტივობის შესრულებისას. C გარემოში ასევე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას(ერთჯერადი ხელთათმანები, პირბადეები, ერთჯერადი ხალათები და სხვა) და გამოყენებას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. ლაბორატორიაში არსებული ნივთიერებები გარკვეულწილად მომწამვლელი და ცეცხლსაშიშია, ამიტომ აუცილებელია სისუფთავის და წესრიგის დაცვა. ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტის მუშაობა დასაშვებია მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის ნებართვითა და მისი მეთვალყურეობით. როგორც აღინიშნა დაწესებულებაში ნარჩენების უტილიზაცია ხდება „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტის“ მიერ, რომელიც ხელსეკრულების თანახმად იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ბიო-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქიმიური ნარჩენების გატანა სპეციალური კონტეინერებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“, 2023 წლის ივნისში ჩატარებული ავტორიზაციის ფარგლებში, მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია,, ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქციის“ შემუშავებასთან დაკავშირებით, რაც როგორც აღინიშნა შემუშავდა და გარკულია ქიმიურ ლაბორატორიაში. არსებული მექანიზმებით და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 19 ივნისი 2023წ. შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტთან“ დადებული ხელშეკრულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ფარმაცია (სააფთიაქო) N2833, დამტკიცებული 28.03.2023წ. ბოლო ცვლილება N14549 15.11.2023წ);
- კალენდარული გეგმების ნიმუშები;
- პროფესიულ სტუდენტთა პარტნიორ ორგანიზაციებში განაწილების მტკიცებულებები;
- „ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის წესი“ და დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონის“ დირექტორის მიერ (ბრძანება N11131 21.10.2022წ.).
- კოლეჯის „ბიბლიოთეკის მართვის წესი“ დამტკიცებულია შპს“ კავკასიონის „ დირექტორის ბრძანებით.
- პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგი;
- შპს “კავკასიონი“ სასწავლო პროცესის ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით წარმართვის და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ;
- ,შპს „კავკასიონი“ს სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტები
- ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქცია“
- უტილიზაციის ხელშეკრულება;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- დამტკიცებული სასწავლო გრაფიკი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; დაწესებულებას შემუშავებული აქვს - შპს" საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები (დირექტორის ბრძანება №11876. 06.12.2022 წელი). დოკუმენტში (თავი XII-სასწავლო პროცესიის მართვა -მუხლი N57 სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა /პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება) დეტალურად არის აღწერილი პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ: განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები. მოცემულია ასევე ინფორმაცია დამატებითი შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების (აპელაციის წესი), შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შუალედური შეფასებისა და ასევე ვალიდაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია შუალედური შეფასების წესი და პროცედურა.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ/ის/ების/ თემატიკაზე დაყრდნობით; მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული მასწავლებელი, სასწავლო ნაწილს წარუდგენს მოდულის შესაბამის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო ნაწილი თავის მხრივ უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის - შინაარსობრივი მხარის შემოწმების კოორდინირებას. შესაბამისად იგი შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისათვის უგზავნის მეორე (თბილისის) განყოფილების სასწავლო ნაწილს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ვალიდაციის კომისიის შექმნას. ვალიდაციის კომისია საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციას გადის ინსტრუმენტის შემმუშავებელ ჯგუფთან; უბრუნებს რეკომენდაციებით, ან შეითანხმებს ინსტრუმენტებს დასკვნის სახით. ვალიდაციის კომისიაში შედის პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი. მნიშვნელოვანია რომ, ვალიდაციის პროცესში ინსტრუმენტის შეფასების განმახორციელებელი პირები, მონაწილეობას არ ღებულობდნენ მის შემუშავებაში. ვალიდირებული განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი ინახება დაწესებულების ინსტრუმენტების ბანკში და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომი შეფასების მიზნებისთვის. პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგების შეფასება აისახება შეფასების ფურცელში/ჩეკლისტში.

ექსპერტებმა გამოითხოვეს რამდენიმე შეფასების ინსტრუმენტი და მისი შესაბამისი მტკიცებულებები. დარგის ექსპერტმა შინაარსობრივად გადაამოწმა მოდულების: მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირების, ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლების შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მისი შეფასებით იყო ვალიდური.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას 2022 წელს გადამუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის არსებული ფორმა და ის არსებითად არის გაუმჯობესებული, მოიცავს შეფასების პროცესისათვის, შეფასების სისტემის ყველა მახასიათებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაკმაყოფილებლად აუცილებელ ინფორმაციას და აღნიშნული ჩარჩოთი მიმდინარე წელს შემუშავებული ინსტრუმენტები აკმაყოფილებს სტანდარტის ყველა მოთხოვნას (შეფასდა პროფესიული მოდულების 2-2 ინსტრუმენტი).

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ყურადღება გამახვილდა შეფასების სისტემაზე. სტუდენტებმა ისაუბრეს შეფასების კრიტერიუმებისა და განმსაზღვრელი შეფასების თაობაზე ინფორმირების მექანიზმის შესახებ და დაადასტურეს, რომ მათ შეფასების შედეგები ეცნობებათ ელექტონული ფოსტების საშუალებით, რასაც ითვალისწინებს რეგულაცია.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა 2022 წლის მიღების ჯგუფებთან დაიწყო თეორიული კომპონენტის ფარგლებში ელექტრონული შეფასება და სისტემა საკმაოდ კარგად აქვთ გამართული.

დაწესებულებაში ვიზიტისას შერჩევითად გადამოწმდა შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებები. მათ შორის პრაქტიკული მოდულების და პრაქტიკის ჟურნალები, რომლებიც წარმოადგინა დაწესებულებამ. როგორც დადგინდა, შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ყველა იმ სავალდებულო ინფორმაციას, რაც გაწერილია მარეგულირებელი დოკუმენტით. შემოწმების შედეგად დადგინდა, ისიც, რომ დაცულია უწყისის გაფორმების წესიც. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში.

არსებული დოკუმენტაციის (ინსტრუმენტები, უწყისები, მტკიცებულებები) შეფასებით, მასწავლებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუს საფუძველზე, ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების დოკუმენტში (მუხლი 58) დეტალურადაა აღწერილი ვერიფიკაციის წესი და განხორციელების პროცედურა. წესის შესაბამისად, კოლეჯში შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია.
- პროცესის ვერიფიკაცია
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის პროცედურა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობასა და სამართლიანობას, რომლის უზრუნველსაყოფად დირექტორის ბრძანებით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის ხელმძღვანელობით, რომელიც უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს ვერიფიკაციის ის ნაწილი, რომელიც არ მოითხოვს დარგის კომპეტენციას.

ექსპერტთა მიერ შემოწმდა ვერიფიკაციის დოკუმენტები და ჩატარდა ინტერვიუ ხარისხის სამსახურის მენეჯერთან, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი:

ვერიფიკაციის პროცესის განსახორციელებლად ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ:

- პროგრამის ხელმძღვანელი-დარგის ექსპერტი;
- პროფესიული მასწავლებელი მოდულის განმახორციელებელი სხვა სპეციალისტი;
- მოწვეული პირი, რომელიც არ მოდის ინტერესთა კონფლიქტში.

წესი კატეგორიულად გამორიცხავს ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში იმ პირის არსებობას, რომელმაც შესაფასებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა.

წესით განსაზღვრულია ასევე ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების, სამოქმედო გეგმის შედგენისა და ამ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

კოლეჯში ვერიფიკაციის რისკ ფაქტორებად განსაზღვრულია: დამწყები პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი; პროფესიული მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით); პრაქტიკული დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; შესაფასებელი პირების დაბალი შეფასებები; შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შევსებული კითხვარები; სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების მიერ შევსებული კითხვარები; პროფესიული მასწავლებლებისგან მიღებული წერილობითი უკუკავშირები; ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ რისკ ფაქტორად მიჩნეული სხვა საკითხი.

ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შერჩეული რისკ ფაქტორის შეფასებისათვის შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევა მტკიცებულებების 10%. იმ შემთხვევაში თუ პრობლემატური აღმოჩნდება შესაფასებელი მტკიცებულებები და გამიკვეთება დარღვევები, შესაძლოა საჭირო გახდეს მთელი ჯგუფის მტკიცებულებების შემოწმება, რასაც თვითონ წყვეტს ვერიფიკაციის ჯგუფი ხმათა უმრავლესობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები ეცნობება პედაგოგებს. ხდება აგრეთვე შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, რომელშიც ასევე მონაწილეობს დარგის პროფესიული მასწავლებელი და პროგრამის ხელმძღვანელი. ვალიდაციის პროცესს ხელმძღვანელობს სასწავლო ნაწილის სამსახური. სასწავლებლის ვერიფიკაციის პროცესი დამაკმაყოფილებელია.

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუირების პროცესში აღინიშნა, რომ ვერიფიკაციის პროცესის დასრულებისას მიღებული შედეგები გამოიყენება ხარისხის განვითარების მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და მის შესაბამისად დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის დასრულებისას.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ბრძანების ასლები ინახება 5 წლის განმავლობაში; სტუდენტების შეფასების უწყისები და ჟურნალი ინახება სასწავლო პროცესის დამთავრებამდე, შემდეგ გადაეცემა არქივს. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული უწყისები, მტკიცებულებები, მათ შორის, პრაქტიკის ობიექტებიდან მოტანილი მტკიცებულებები. დაათვალიერეს კოლეჯის არქივი. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების ინტერვიურებით დასტურდება, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში მუდმივად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მსგავს მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტი/მსმენელი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი. კოლეჯში შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და ამ პროგრამის შესაბამისი კრედიტების დაგროვების შემთხვევაში, რის საფუძველზეც გაიცემა დიპლომი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, ანგარიშების შედეგების და წარმოდგენილი კითხვარების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ კვლევებთან ერთად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების მაჩვენებლები) შეგროვება, რაც გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, პროფესიული სტუდენტები და მასწავლებლები უკუკავშირს იღებენ პერსონალური მონაცემების დაცვით.

სასწავლო პროცესის რეგულირების წესით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების მიღწევის დონე სწავლის შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს განმავითარებელი რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი. კოლეჯში შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და ამ პროგრამის შესაბამისი კრედიტების დაგროვების შემთხვევაში, რის საფუძველზეც გაიცემა დიპლომი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

რეგულაციის გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

განმავითარებელ შეფასებას ემსახურება შუალედური შეფასებაც, რომელიც ახალი რეგულაციის მიხედვით დაინერგება კოლეჯში.

ინტერვიუირებით დადასტურდა მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათ შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ.№ 21/2, 29.06.2020წ.)
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის კავკასიონი საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

24.05.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: